პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 14 (11320)
პარასკევი
16
იანვარი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა

დღეს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა. რვა დღის განმავლობაში — 15-დან 22 იანვრამდე — აღწერილ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა.

მოსახლეობის აღწერა წარმოებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში, ყრილობისა, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს. აღწერის მასალები იქნება იმ მონაცემების დიდმნიშვნელოვანი წყარო, რომლებიც საჭიროა შვიდწლიანი გეგმის დიდებული ამოცანების განხორციელებისათვის. ეს მონაცემები დახმარებას გაგვიწევენ დავაკონკრეტოთ შვიდწლედის დავალებანი რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ეკონომიურ რაიონებში, გამოყენებულ იქნება დაწყებული შვიდწლედის თვითეული წლისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მაჩვენებელთა დამუშავებისას.

სოციალისტური სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული მოღვაწეობა შეუძლებელია, თუ არ იქნა სტატისტიკური მონაცემები, თუ არ იქნა ზედმიწევნითი აღრიცხვა და კონტროლი წარმოებისა და მოხმარებისადმი. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: აღრიცხვა და კონტროლი მთავარი რამეა, რაც საჭირო სოციალისტური საზოგადოების „მოწყობისათვის", სწორი ფუნქციონირებისათვის. ლენინის ეს დებულება ახლაც ინარჩუნებს მთელ თავის აქტუალობას.

საბჭოთა სტატისტიკის მიერ შემუშავებულ სტატისტიკიურ მაჩვენებელთა სისტემაში, რომლებიც ასახავენ ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მდგომარეობასა და განვითარებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ მოსახლეობის რიცხვისა და შემადგენლობის მაჩვენებლებს. ეს გასაგებიც არის. საბჭოთა ადამიანი არის არა მარტო საზოგადოებრივი სიმდიდრის შემქმნელი, არამედ მისი მატონპატრონიც, მატერიალური და სულიერი სიკეთის მომხმარებელი. საბჭოთა ადამიანების ინტერესებისათვის ფართოვდება ჩვენში წარმოება, ვითარდება მეცნიერება და კულტურა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ აქცევდნენ და აქცევენ სერიოზულ ყურადღებას მოსახლეობის სტატისტიკას. ისინი დიდ პოლიტიკურ და სახალხომეურნეობრივ მნიშვნელობას ანიჭებენ მომავალ აღწერას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვაში საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქისადმი, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„მოსახლეობის აღწერა დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს შვიდწლიანი გეგმით დასახული გიგანტური ამოცანების განხორციელებაში. აღწერის მონაცემები თვალნათლივ გვიჩვენებენ ხალხის ცხოვრებისა და საბჭოთა ადამიანის კულტურული სახის ღრმა ცვლილებებს, ასახავენ სოციალისტური წყობილების დიად მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ეროვნული რესპუბლიკების მეურნეობისა და კულტურის ზრდაში, საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების განვითარებაში. აღწერის შედეგად მივიღებთ ზუსტ ცნობებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხვის, მისი განლაგებისა და მოსაძრომობის შესახებ, სქესის, ასაკის, ეროვნებისა და განათლების მიხედვით მოსახლეობის შედგენილობის შესახებ".

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებანი მოიპოვა სოციალიზმის აშენებაში, გრანდიოზული გარდაქმნები განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენში შეიქმნა მძლავრი ინდუსტრია, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიურ თავისთავადობასა და დამოუკიდებლობას. მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1958 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 4-ჯერ და მეტად. სოფლის მეურნეობაც ისე გარდაქმნა, რომ ვეღარ იცნობთ. საბჭოთა ქვეყანაში შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედება. უკანასკნელ ხუთწლედში პარტიის ღონისძიებათა მეოხებით მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოება და დამზადება.

სოციალისტური წყობილება უზრუნველყოფს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას. მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი პენსიის, დახმარების, უფასო სწავლებისა და სამედიცინო მომსახურების გათვალისწინებით 1958 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის ერთიორად, ხოლო გლეხთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით — ერთიორად და მეტად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა უდიდესი კულტურული რევოლუცია. საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო აყვავებას მოწმობს დედამიწის სამი ხელოვნური თანამგზავრისა და კოსმოსური რაკეტის შექმნა და გაშვება, რომლებმაც დაიწყეს ახალი ერა — კოსმოსური სივრცის ათვისების ერა.

სსრ კავშირში ყველა საბჭობის სწავლებაში ჩაბმულია 50 მილიონზე მეტი კაცი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითეული მეოთხე საბჭოთა მოქალაქე სწავლობს. განუზომლად გადიდდა ინტელიგენციის რიცხვი. მოსახლეობის აღწერამ მეფის რუსეთში 1897 წელს გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში იყო სულ მხოლოდ 79 ათასი მასწავლებელი, დაახლოებით 14 ათასი სამოქალაქო ექიმი და სულ მხოლოდ 4 ათასი ინჟინერი. ახლა საბჭოთა კავშირში არის 1 მილიონ 800 ათასზე მეტი მასწავლებელი და დაახლოებით 350 ათასი ექიმი. ჩვენს ქვეყანას ჰყავს 800 ათასზე მეტი დიპლომიანი ინჟინერი — ერთიორად მეტი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა რიცხვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში შეადგენს დაახლოებით შვიდნახევარ მილიონ კაცს. საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები უშვებენ თითქმის ერთისამად მეტ ინჟინერს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასწავლებლები.

საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ზრდის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სამედიცინო დახმარების განუწყვეტელი სრულყოფის შედეგად შობადობა სსრ კავშირში უმაღლეს დონეზეა, სიკვდილიანობა ისტორიტატურად მცირდება და უკანასკნელ წლებში ყველაზე დაბალია მსოფლიოში. უკვე თითქმის ხუთი წელია, რაც მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი მატება სსრ კავშირში თვითეულ 1000 კაცზე შეადგენს დაახლოებით 17,5 კაცს.

იმ პერიოდში, რაც უკანასკნელი, 1939 წლის აღწერის შემდეგ გავიდა, დიდი ცვლილებანი მოხდა მოსახლეობის არა მარტო რიცხვში, არამედ შემადგენლობაშიც. არსებითად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა. 1939-დან 1957 წლამდე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა 417 ქალაქი, 1.188 ერთეულით გადიდდა ქალაქის ტიპის დაბების რიცხვი. 1940 წელს სსრ კავშირში ითვლებოდა ქალაქთა 60,6 მილიონი მცხოვრები, ხოლო 1956 წლის აპრილში უკვე — 87 მილიონი. აშკარად სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 54 მილიონ 600 ათასი მუშა და მოსამსახურე, ანუ ოთხჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1913 წელს, და 1,8-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

დიდი ცვლილება მოხდა სოფლის მოსახლეობაში. საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებამ, სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ შეცვალეს გლეხთა შრომის ხასიათი. ახლა საკოლმეურნეო სოფელს ჰყავს მრავალრიცხოვანი კვალიფიციური ტექნიკოსების კადრები, თავისი ინტელიგენცია. შეიცვალა მოსახლეობის ტერიტორიული განლაგებაც. შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ყაზახეთის თვალუწვდენ სივრცეებში, იქ, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ დაუსახლებელი ადგილები იყო, აშენდა მსხვილი სამრეწველო ცენტრები, შეიქმნა მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობის რაიონები. მომხდარი ცვლილებანი მკაფიოდ ეასახება მოსახლეობის ახალადელი აღწერის მასალებში.

ყოველ საბჭოთა ადამიანს უნდა ახსოდეს, რომ აქტიური მონაწილეობა აღწერაში, ზუსტი და ამომწურავი პასუხი საალწერო ფურცლის კითხვაზე მისი მოქალაქეობრივი ვალია.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს დროზე გაიარონ აღწერა. ყოველნაირად შეუწყონ ხელი მის ორგანიზებულად მოწყობას, რათა არც ერთი დასახლებული პუნქტი, არც ერთი საცხოვრებელი სახლი, არც ერთი ადამიანი არ იქნას გამოტოვებული აღწერის დროს!

აღმწერთა მიერ თავისი უბნების წინასწარ შემოვლამ ცხადყო, რომ საბჭოთა ადამიანები უადრესად ცხოველი ინტერესით შეხვდნენ მოსახლეობის დღეს დაწყებულ აღწერას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის სიტყვები შეიგნო მილიონობით ადამიანმა, ამ სიტყვებმა გაუნმარტეს მათ აღწერის ღრმა აზრი და დიდი მნიშვნელობა კომუნიზმის მშენებლობისათვის. ყოველი საბჭოთა ადამიანი, რომელსაც ესმის აღწერის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, გულითადად ეგებება აღმწერებს, მზად არის მისცეს სრული და ზუსტი პასუხი საალწერო ფურცლის ყველა კითხვაზე.

აღწერის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს 500 ათასამდე აღმწერი და 75 ათასზე მეტი ინსტრუქტორ-კონტროლიორი, ხოლო სულ 600 ათასზე მეტი კაცი. მათ შორის არიან ბევრი მასწავლებელი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები, სტუდენტები. აღმწერმა მუშაკებმა გაიარეს გულდასმით მომზადება და მათთვის მინდობილი საქმე დაიწყეს დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით.

აღწერის ძირითადი ამოცანაა ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის სრული აღრიცხვა, ყოველი აღმწერი მოვალეა აღწერა ისე განახორციელოს, რომ არ გამოტოვოს არც ერთი კაცი, არ დაუშვას არც ერთი შეცდომა, ზუსტად დაიცვას დადგენილი წესი. იგი მოწოდებულია იყოს აღწერის აქტიური პროპაგანდისტი, უაღრესი სიცხადით ილაპარაკოს მის მიზნებზე, პოლიტიკურ და სახალხომეურნეობრივ მნიშვნელობაზე. აღწერამ უნდა მოგვცეს **ნამდვილი ცნობები ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობის** შესახებ, სქესის, ასაკის, ეროვნების, განათლებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია საალწერო ფურცლით. ამ მონაცემების სისწორეს უზრუნველყოფს საალწერო ფურცლის კითხვებზე მოსახლეობის პასუხის სიზუსტე. ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალია ყოველმხრივი დახმარება უზრუნველყონ აღწერის მუშაკებისათვის.

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა საყოველთაო-სახალხო საქმეა. განვახორციელოთ იგი ორგანიზებულად, სანიმუშოდ!

„პრავდის" 15/I მოწინავე.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ

კეთილი იყოს!

დილაადრიან აღმწერი ო. ხუციშვილი თბილისის კიროვის რაიონში კრწანისის ქუჩის № 15 ფართოაივნიან სახლს მიადგა. ოჯახის წევრები გარეთ გამოეგებნენ ახალგაზრდას და მხიარულად შეიპატიჟეს. პაპა იაკობი წასვლას აპირებდა. იაკობ გოგიჩაიშვილი 88 წლის ჭარმაგი მოხუცია. მიეხედავად ხნოვანებისა, იგი თავის შვილიშვილებს, ვაჟკაცს არაფერში ჩამოუვარდება. სამსახურშიც — საბჭოთა მეურნეობა „გიგანტშიც" —ასე იცნობენ თავიანთ მცველს.

იაკობმა აღწერა გაიარა და სტუმარს გამოემშვიდობა. სამსახურში წასასვლელად ემზადება იაკობის ვაჟიშვილი ალექსანდრეც. იგი სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროს მთავარი ინჟინერია. ალექსანდრეს ქალიშვილი ლია სამედიცინო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტია. უფროსი ვაჟი კი ბამბის ფაბრიკაში მუშაობს, ამავე დროს დაუსწრებლად სწავლობს ფიზკულტურის ინსტიტუტში. ოჯახის დანარჩენი წევრები მოსწავლეები არიან. აღმწერმა კმაყოფილების გრძნობით დატოვა ეს ბედნიერი ოჯახი

აღმწერმა ლ. კოპაძემ სააღწერო განყოფილების გამგისა და ინსტრუქტორ-კონტროლორების განცვიფრება გამოიწვია, როცა პირველი გამოცხადდა უბანში და სააღწერო ფურცლების ერთი წყება ჩაბარა. იგი 9 საათზე მიასნიკოვის ქუჩის № 4 სახლში მივიდა, სიხარული ვეღარ დაფარა, როცა ოჯახის 12 წევრი თვალებგაბრწყინებული შეეგება. პატარებსაც კი ეღვიძათ. ოჯახის უფროსი — ხანშიშესული, მაგრამ ჯანმაგარი ქალი ს. — არა მარტო გაგმრავლდით, მთლიანად შეეცვალეთ, შვილო. — ორთაჭალესი, ახალი ხიდი, ქარხანა „ელექტროავტომატი", რამდენი ქუჩა და სახლი აკაშენეთ ვინ ჩამოთვლის... ცხოვრება წინ მიდის, მე კი დავბერდი, მენანება! — ღიმილით ეუბნება მოხუცი აღმწერს.

აღმწერებს თ. ლათაიძეს და ლ. ხახარაძეს უყვე კარგა ხანია იცნობდნენ ნადიკვრის ქუჩის მცხოვრებნი. და როცა სისხამ დილას მათთან სახლებში მივიდნენ, მასპინძლებიც მომზადებულად და ხალისიანად დახვდნენ. ბევრი რამ აქვთ ნადიკვრის ქუჩის მცხოვრებლებს სასიხარულო. დიდი ხანი არ არის, რაც ამ ქუჩაზე 5 ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! — ასე გულთბილად ხვდებიან აღმწერებს ყოველ საბჭოთა ოჯახში.

ლ. მგალობლიშვილი.

მაღალი შეგნებულობა

აჭარის ასსრ სტატისტიკურმა სამმართველომ და მისმა ადგილობრივმა ორგანებმა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით დიდი მუშაობა გასწიეს აღწერისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად. დაზუსტდა ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების საზღვრები, შედგა მათი, აგრეთვე რაიონებისა და სასოფლო საბჭოების სქემატური რუკები.

მარტო ქალაქ ბათუმში 3.000-მდე აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე, აგრეთვე 250-ზე მეტი ინსტრუქტორ-კონტროლიორი და აღმწერი ეწევა მოსახლეობის აღწერის მნიშვნელობის ფართო პროპაგანდას.

ჯერ კიდევ 14 იანვარს ღამით სპეციალურმა სააღწერო ბრიგადამ ბათუმის სატვირთო სადგურის პარტბიუროს მდივნის გ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით ჩაატარა მგზავრთა აღწერა № 51 მატარებელზე, რომელიც ბათუმიდან თბილისისაკენ გავიდა.

დიდი გამოცოცხლება იყო აღწერის პირველ დღეს რკინიგზის ბათუმის სამგზავრო სადგურის სააღწერო უბანში. აღმწერი კ. თარგამაძე სადგურის მუშაკთა დახმარებით ზუსტად ამოწმებდა ჩამოსული მგზავრების აღწერაში მონაწილეობას. ასევე დიდი მუშაობა იყო საზღვაო ნავსადგურის უბანში, სადაც აღმწერებმა 14 იანვარს გულდასმით შეამოწმეს ბობომავალ „ყირიმის" და ნავსადგურში მდგომი სხვა გემებისა და კატერების ეკიპაჟები.

აღწერის პირველ დღეს განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ქალაქ ბათუმის ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა დ. კვაჭაძემ, მ. ვაშაკიძემ, ვ. გუგუშვილმა, გ. ომიიძემ, ნ. ჩაგლეფშვილმა, ქ. გოთუამ, ა. მარშანიამ, ნ. ბარამიძემ, აღმწერებმა თ. ქემხაძემ, ა. თოხაძემ, შ. რუსეიშვილმა, ლ. გრიგორიანმა.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

წინათ უკაცრიელ ტრამალზე

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერისას — 1939 წელს — ქალაქ რუსთავის მიდამო უკაცრიელ ტრამალს წარმოადგენდა. ამჟერად ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის მოსახლეობის აღწერა პირველად ეწყობა.

ამ მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმის ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად ქალაქში შექმნილია 2 სააღწერო განყოფილება, 83 სააღწერო და 16 საინსტრუქტორო უბანები. გუშინ დილის 8 საათზე მოსახლეობის აღწერაზე თავიანთ განკუთვნილ უბნებში გავიდა 119 აღმწერი და ინსტრუქტორ-კონტროლიორი.

განსაკუთრებით აქტიურად შეუდგნენ მოსახლეობის აღწერას ინსტრუქტორ-კონტროლიორები გ. დონდუა, მ. სუბოტკინი, ი. სკრიანიკოვა, აღმწერები კ. სურგულაძე, ი. ერერებცოვი, გ. შუბლაძე და სხვ. მათ ჯერ კიდევ აღწერის დაწყებამდე მოაწყეს საალწერო უბნების წინასწარი შემოვლა, პირადად გაეცნენ მოსახლეობას, განუმარტეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა.

აღმწერებმა და ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა სააღწერო განყოფილებებს აცნობეს პირველი დღის შედეგები. აღწერა წარმატებით გრძელდება.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ᲒᲐᲖᲐᲩᲐᲦᲝᲗ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

სსგარეჯოს რაიონის სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოს" კოლმეურნეებისა, კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრები მუშა-მოსამსახურეებისა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა საქართველოს სასოფლო რაიონების სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი, მუშებისა და მოსამსახურეებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

უკანასკნელ წლებში, როგორც ეს თვალნათლივ დემონსტრირებულ იქნა ამას წინათ შემდგარ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობაზე, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ჩვენი სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარებაზე, როგორიც არის მეცხოველეობა. იგი ჯერ კიდევ ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ჩვენი კოლმეურნეობა, სადაც მეცხოველეობის ჩამორჩენა სხვა დარგებისაგან აიხსნება. უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ჩვენ ცოტა გვყავს პირუტყვი საზოგადოებრივ მეურნეობაში. მაგალითად, ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მხოლოდ 5 ძროხა მოდის, ჩვენ კი შეგვეძლო გაცილებით მეტი გვყოლოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხელიდან ვუშვებთ არტელის შემოსავლის ასეულ ათასობით და, შესაძლოა, მილიონობით მანეთით გადიდების შესაძლებლობას.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ კოლმეურნეთა კეთილდღეობა დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივ მეურნეობაზე. ხოლო საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის მიღწევა შეიძლება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგიდან და მათ შორის მეცხოველეობიდან შემოსავლის გადიდების გზით. ამ დარგში განსაკუთრებით ბევრი გამოუყენებელი რეზერვებია.

ჩვენ აღარ შეგვიძლია შევეურიგდეთ მეცხოველეობის ასეთ ჩამორჩენას. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ დავძლიოთ ჩამორჩენა უახლოეს ერთ-ორ-სამ წელიწადში.

და აი, მეცხოველეობის აღმავლობის გზების ძიებაში ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭიროა უწინარეს ყოვლისა მივაღწიოთ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდას. ასეთი ზრდის დიდმნიშვნელოვანი, გადამწყვეტი პირობაა ის, რომ კოლმეურნეობას სახელმწიფო ფასებში მივყიდოთ კოლმეურნეთა, კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა პირად სარგებლობაში მყოფი მოზარდეული. ჩვენ გამოვიანგარიშეთ, რომ კოლმეურნეობისათვის მისაყიდი ხბოების რაოდენობა 600 სულს მიაღწევს. ეს შესაძლებლობას მისცემს კოლმეურნეობას შეძენილი მოზარდეულის ნაწილი შეარჩიოს ჯოგის შემდგომი მომრავლებისათვის, მეორე წლის წინათ შეიქმნა სამი პატარა სასოფლო-სამეურნეო არტელის გაერთიანება. საკოლმეურნეო კრებას, რომელმაც მიიღო მიმართვა საქართველოს სასოფლო რაიონების სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი, მუშებისა და მოსამსახურეებისადმი, დაესწრო არტელის წევრთა უდიდესი უმრავლესობა — 850 კაცი. ყველამ ერთსულოვნად მისცა ხმა კოლმეურნეობისათვის ხბოების მიყიდვას, რაც პირუტყვის სულადობის გადიდების და, მაშასადამე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჩვენი კოლმეურნეობის ბევრმა წევრმა, საგარეჯოში მცხოვრებმა მუშა-მოსამსახურეებმა სურვილი გამოთქვეს მიჰყიდონ კოლმეურნეობას საკუთარი ძროხები იმ პირობით, თუ კოლმეურნეობა უზრუნველყოფს მათ რძით; ჩვენ დავავალეთ კოლმეურნეობის გამგეობას შეისწავლოს ეს საქმე და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი. ვფიქრობთ, რომ უახლოეს მომავალში ამ საკითხსაც წარმატებით გადავწყვეტთ.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება ჩვენი სისხლხორცეული საქმეა. და თვითეულმა ჩვენგანმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით განხორციელებაში.

დარწმუნებული ვართ, რომ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია როგორც თავისი, ისე საზოგადოებრივი ინტერესები, მიბაძავს ჩვენს მაგალითს.

კოლმეურნეობა „საქართველოს" კოლმეურნეთა, კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა გაერთიანებული კრების დავალებით: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. დუჩიძე, კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ბ. ფეიქრიშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი შ. კავთუაშვილი, მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი ბ. დარბაისელი, კოლმეურნეები ვ. ჩეკურაშვილი, ლ. მათიაშვილი, ვ. მათი აშვილი, მთავარი აგრონომი რ. ლაფაჩიშვილი, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები შ. ტეტიაშვილი, შ. ტიბილაშვილი, ხ. ხატიაშვილი, პარტიის საგარეჯოს რაიკომის ინსტრუქტორი ო. როსტომაშვილი, სამრეწველო კომბინატის დირექტორი ბ. შავკაციშვილი, წყალთა სასოსტემო სამმართველოს უფროსი ი. დარბაისელი, რაიონის ქირურგი თ. მჟელიშვილი, საგარეჯოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ი. ჩაშიძე.

რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოს" კოლმეურნეთა, კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიმართვას, რომელებმაც გადაწყვიტეს კოლმეურნეობას მიჰყიდონ პირად სარგებლობაში მყოფი ბბოები.

საგარეჯოელ კოლმეურნეთა გადაწყვეტილება მოწმობს მათს ზრუნვას საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდისათვის, რომელიც, როგორც ალნშნა საქართველოს კომპარტიის ამ დღეებში შემდგარმა რიგგარეშე XIX ყრილობამ, ჯერ კიდევ წარმოადგენს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილ დარგს, მოწმობს საქართველოს სოფლის მშრომელთა მზადყოფნას გააჩაღონ ბრძოლა საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მათს კეთილშობილურ მისწრაფებას ღირსეული წვლილი შეტანონ იმ ისტორიული ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში, რომელიც წამოყენებულია სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

საგარეჯოს რაიონის გამსხვილებული კოლმეურნეობა „საქართველო" ერთი წლის წინათ შეიქმნა სამი პატარა სასოფლო-სამეურნეო არტელის გაერთიანებით. საკოლმეურნეო კრებას, რომელმაც მიიღო მიმართვა საქართველოს სასოფლო რაიონების სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი, მუშებისა და მოსამსახურეებისადმი, დაესწრო არტელის წევრთა უდიდესი უმრავლესობა — 850 კაცი. ყველამ ერთსულოვნად მისცა ხმა კოლმეურნეობისათვის ხბოების მიყიდვას, რაც პირუტყვის სულადობის გადიდების და, მაშასადამე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ

ჩვენი ცხოვრება დღითიდღე სულ უფრო დიადი და მჩქეფარე, სულ უფრო ნათელი და აზრიანი ხდება.

ჩვენი სინამდვილე ყოველდღიურად შობს ახალ-ახალ გმირებს — საბჭოთა ეპოქის ეროშმარიტ გოლიათებს.

— მეტი მარგანეცი სამშობლოს, — ამბობენ ეს ადამიანები, და არის მეტი მადანი, მეტი ფოლადი, თუჯი... ამბობენ და არის მეტი ავტომობილი, ქვანახშირი, ჩაი, ციტრუსები, უურძენი.

ახლა ვინ არ იცნობს არჩილ ძამაშვილს — ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში კომუნისტური შრომის ბრიგადის შექმნის ინიციატორს, ტრიფონ ფოფხაძეს — მეტი მარგანეცისათვის დაუღალავ მებრძოლს, ტატიანა ტყებუჩავას — ჩაის უხვი მოსავლის ოსტატს, მემანქანე ილია ლაბაძეს და ჩვენი რესპუბლიკის სხვა მრავალ მოწინავე ადამიანებს, რომლებმაც გმირული შრომით ხალხის, პარტიის, სამშობლოს სიყვარული დაიმსახურეს.

სწორედ მათი მისამართით ითქვა საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან აღმაფრთოვანებელი სიტყვები. ჩვენ გვყავს შესანიშნავი, სახელოვანი ადამიანები, ხალხის ტალანტები — წარმოების ნოვატორები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, რომლებიც თავიანთი შრომით გვიჩვენებენ, — რა გამარჯვებებს შეიძლება მივაღწიოთ, თუ ჩვენს შრომას ჩავაქსოვთ სიყვარულს, მთელ ჩვენ ცოდნასა და ენერგიას, ბეჯითობას, ნებისყოფას დ: მაღალ საზოგადოებრივ შეგნებას.

სახელი და დიდება მათ ხალხის ტალანტებს!

ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲗ!

ი. ლაბაძე

ე. დანელია

პ. ბოგდანოვა


კ. გერია


ვ. კინწურაშვილი

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „ლენინი პრესის შესახებ". წიგნში შეტანილია ლენინის უმნიშვნელოვანესი სტატიები, სიტყვები, მოხსენებანი, შენიშვნები, წერილები, რომლებიც ნაოელ წარმოდგენას გვაძლევენ რუსული პერიოდული პრესის განვითარებაზე.

ჩვენი დროის გმირები

სახელი და დიდება მათ!

ალმშენებლობითი გეგმების განხორციელებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით საბჭოთა ადამიანებს. მათი ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი, მისწრაფება შრომისადმი, უნარი განახორციელონ კომუნისტური პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი, ჩვენი გამარჯვების საფუძველია. დაუშრეტელია ხალხის ტალანტების წყარო საბჭოთა ქვეყანაში, კომუნიზმის სულ ახალი და ახალი მილიონობით მშენებელი დგება საბჭოთა საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მუშაკთა რიგებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებიდან.

ცეცხლთან დამეგობრებულნი

ქშინავს გავარვარებული ღუმელი. უზარმაზარ ბრძმედთან მუხლჩაუდგამად ფუსფუსებენ მეაირე, წყალგამყვანი, მექურეები, ოფლ წურწურით ჩამოსდით. ტანმორჩილი, ხმელხმელი, შაგგრემანი ჭაბუკი სათვალეს ისწორებს და საქშენთან მიდის.

— არჩილ, გაშვების დრო ხომ არ არის? — ეკითხება ბრიგადირს მექურე ტარიელ ბანეთიშვილი.



ძმაშვილი კვლავ ყურადღებით ჩასცქერის საქშენში, შემდეგ მოკლედ ჭრის: — გაუშვით!

ციცხვებისაკენ მიდის აღვართქაფებული თუჯი.

— აბა ახლა გავაბოლოთ, ბიჭებო,— ამბობს მეაირე.

— ნაგნობი ცოტა არ უნდა იყოს, ნორმაზე ერთი ორმოცდაათი ტონით მეტი მაინც იქნება, — ვარაუდობენ ბრიგადის წევრები.

— მაშ გამოდის, რომ გადაჭარბებით ვასრულებთ კომუნისტურ ვალდებულებებს, — ღიმილით ამბობს ბრიგადირი.

— აბა, როგორ!.. — კვერს უკრავს უფროსი მექურე მირონ კიკვიძე.

ლაბორატორიიდან რეკავენ. არჩილი ტელეფონის აპარატთან მიდის.

— ნაგნობი შესანიშნავია, — ისმის ყურმილში.

არჩილ ძმაშვილს ამ წუთს განსაკუთრებით ძალიან მოუნდა სტალინოელი ოსტატის გაბრიელ სამოილოვის სიახლოვე. 1944 წელს არჩილი სტალინოში გაგზავნეს მეტალურგის პროფესიის შესასწავლად. გავარვარებულ ღუმელთან პირველად რომ დააყენეს, შედრკა.

სამოილოვმა უმალვე შენიშნა ეს და მეგობრულად უსაყვედურა: — შენგან რა მეტალურგი უნდა გამოვიდეს, ცეცხლს უფრთხი.

ახლა რას იტყვის სტალინოელი ოსტატი, ვინ დაუჯერებს, არჩილ ძმაშვილს ცეცხლისა ეშინიაო. საოცრად გამოიცვალა მარტყოფელი ბიჭი. ცეცხლთან მეგობრობს და თანატოლებთან ერთად ცვლაში ნორმის გადამეტებით 35-40 ტონა მაღალხარისხოვან თუჯს აძლევს სამშობლოს. ეს ცოტა არ უნდა იყოს ერთი ბრიგადისაგან. და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი თავისთვის ანგარიშობს, სხვებიც ასე რომ მუშაობდნენ, შვიდწლედს ხუთ წელიწადში მაინც შეასრულებთო.

თუჯის დნობის ნამდვილი დიდოსტატი გახდა არჩილ ძმაშვილი. კაზმში მეტი რაოდენობით შეაქვთ აგლომერატი, ბრძმედის საკერძეს ქვეშ წნევა 0,6 ატმოსფერომდე აიყვანეს, ღუმელში ჰაერის ტემპერატურა 70 გრადუსით გაზარდეს. ეს ხელშესახებად ნიშნავს ცვლაში გეგმის გადამეტებით გამოდნობილ ათობით ტონა თუჯს.

რა კარგია ეს ყველაფერი დაწვრილებით იცოდეს სამოილოვმა. არჩილი არ ყოყოჩობს, თავი არ მოაქვს. მხოლოდ ერთი სურვილი აქვს — გაახაროს თავისი ყოფილი აღმზრდელი.

როგორ არ გაიხარებს მასწავლებელი. დღეს მისი ყოფილი მოწაფე ამერიკაკვაკსის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის № 2 ბრძმედის ოსტატია, კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებმა იანვარში გეგმის გადამეტებით ათას ტონაზე მეტი თუჯი გამოადნეს, შრომის ნაყოფიერება 3,6 პროცენტით აამაღლეს, 15 ათას მანეთზე მეტი დაზოგეს.

უცნაურია კაცის ბუნება: ჯერ მწვერვალის დაპყრობას ნატრობს, მაგრამ ფეხქვეშ რომ მოიქცევა, მერე ცისკენ მიეწევა გული. არჩილ ძმაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებიც ასეთი არიან. მათ გადაწყვეტილი აქვთ პარტიის XXI ყრილობისათვის უფრო ღირსეული საჩუქრები მოამზადონ. ქართულ ადათს იცავენ ბიჭები: ხელდაუმშვენებელს ხომ არ გაუშვებენ თავის ბრიგადირს ყრილობაზე.

საამქროში წყალგამყვანი იური იანჩუკი შემოვიდა. დღეს მან უკანასკნელი გამოცდა ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში.

— როგორ არის საქმე? — აკითხა არჩილმა.

ვასრულებ კომუნისტურ ვალდებულებებს, ბრიგადირო, — იყო პასუხი.

— დღეგანდელ დღეზე სამდურავი არ გვქონქმის, მაგრამ ხვალ უფრო უნდა ვიყოჩაღოთ, ხომ ასეა?

მებრძმედეებმა ბრიგადირს თავი დაუქნიეს — მართალს ამბობო, და ქარხნის ეზოში გავიდნენ.

ა. ხუციშვილი.

ტაშისკარელი

სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში შინ დარჩენილი თითოოროლა მამაკაცი თუ იყო სოფელ ტაშისკარში; საკოლმეურნეო მინდვრებზე აქა-იქ შეხვდებოდით ჭაო. ტაშისკარელი ბიჭები ფრონტზე თავდადებულად იბრძოდნენ, მაგრამ ზურგიც ხომ მტკიცე, დოლათიანი უნდა ყოფილიყო.

საკმარისი როდი იყო ჩვეულებრივი მუშობა. საქმე ეხებოდა გეგმების სამმაგად და უფრო მეტად შესრულებას, შრომითს გმირობას ზურგში. ასეთ სახელოვან ადამიანთა რიგში იყო ივანე ხაჩიძეც. იგი, რომ იტყვიან, დღესა და ღამეს ასწორებდა. მისი ფიქრი მიპყრობილი იყო ერთი მიზნისაკენ: ყოველმხრივ დახმარებოდა საომრად წასულ თანამემამულეებს.

ასეც მოხდა. ივანე ხაჩიძე დაეუფლა ვენახის მოვლა-პატრონობის აგროტექნიკას, გაპარტახების გზაზე დამდგარი ვენახი განაახლა და სახელი გაითქვა, როგორც ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატმა.

სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების შემდეგაც ივანეს საზრუნავი იყო რაც შეიძლება მეტი მოსავალი მოეყვანა. ექვსი შვილის მამა ოჯახსაც არ აკლებდა ზრუნვას და რკოლში ხომ პირველობას არავის უთმობდა. 1948-1949 წლებში სარეკორდო მოსავლის მიღებას მიაღწია. რგოლი უვლიდა 3.5 ჰექტარ ვენახს. ორი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 150 ცენტნერი ყურძენი, ხოლო მოლიან ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე—115 ცენტნერი.

ასეთი დიდი წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს ივანე ხაჩიძის შრომა და მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მას შემდეგ ყოველწლიურად მოჰყავს ყურძნის უხვი მოსავალი.

— ჩვენი ივანე ხალხსაც უყვარს და ვახსაცო, — ახლაც გაიგონებთ ამ სიტყვებს ტაშისკარში. როცა მოწინავეთა რაიონული თათბირია, პირველად ძია ივანეს კანდიდატურას ასახელებენ. თუ სადმე გამოცდილების გაზიარებაა საჭირო, ივანეს სთხოვენ, ძია ივანე, შენი ვაზის ამბავი გვითხარიო.

ახალდაბაში პიონერები შეკრებილან. დღის წესრიგში შეუტანიათ მევენახე ძია ივანეს საუბარი. ძია ივანე სიამოვნებით ესაუბრება პიონერებს ჯერ წარსულზე — ძველ დროში ბავშვების დუხჭირ ცხოვრებაზე, შემდეგ კი ვაზის სიყვარულზე, მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებზე. პიონერებთან ბოლო სიტყვას ივანე ასე ამთავრებს: გაიზარდეთ, შვილებო, ჩვენო ყვავილებო! იყავით პარტიის, ხალხის სასახელო შვილები. თქვენთვის ფართო ასპარეზია გადაშლილი სწავლისა და შრომის ფრონტზე.

წარჩინებული მევენახის კანდიდატურას ერთსულოვნად ასახელებენ ტაშისკარელები ხაშურის რაიონული საბჭოს დეპუტატობაზე და იგი ახლაც დეპუტატია. სანაქებოდ ასრულებს

მევენახე

ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობას.

ერთი წელი არც კია, რაც ქვიშხეთში კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნა



საბჭოთა მეურნეობა. აქაც ივანე ხაჩიძე პირველობს. თავისი ამხანაგებიც მხარდამხარ მიჰყვებიან. გავიხსენოთ შარშანდელი ამბავი. ი. ხაჩიძე, მ. გელაშვილი, ტ. ხაჩიძე, ვ. ტაბატაძე, ა. ხაჩიძე და ე. ხაჩიძე ათ ჰექტარ ვენახს უვლიდნენ. პირი როდი შეირცხვინეს; დადებული პირობა სასახელოდ გაანაღდეს—მიიღეს ას ხუთი ტონა, ანუ საშუალოდ ჰექტარზე ას ხუთი ცენტნერი ყურძენი. შარშან ივანე ხაჩიძის შრომითს მაჩვენებლებში ჩაიწერა ციფრი 140. ეს ნიშნავს ჰექტარზე ას ორმოც ცენტნერ ყურძენს. მაგრამ ახლა ჰკითხეთ ივანეს, წელს რას ფიქრობს?

— აბა რა საკადრისია, — ამბობს ივანე, — წელს უკან ხომ არ დავიხევ, წინსვლაა საჭირო. ესე იგი ჰექტარზე მოვიყვან 150 ცენტნერ ყურძენს.

საკოლმეურნეო შრომამ წელში გამართა ივანე. უკვე ახალ ქვიტკირის სახლში დაბინავდა. 62 წლის მოხუცი ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს და ბედნიერად ცხოვრობს.

აი ვის უნდა ვაქებდეთ, ვის მარჯვენას უნდა ვლოცავდეთ, ვის უნდა ვბაძავდეთ შრომასა და კომუნისტურად ცხოვრებაში.

დელეგატი ივანე ხაჩიძე ახალი, დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობიდან თავის სოფელში. კვლავ გადაწყდა ქვიშხეთის ვაკეზე გადაშლილ ზერეს. თვალწინ წარმოუდგა ციფრი — 150.

— ქვიშხეთის ვაკეზე 150 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე და მეტიც ნამდვილად იქნება, მტკიცედ დაასკვნა ივანემ...

ნ. ჯანჯღავა.

კაცი, რომელიც მთებს ძრავს

ჭიათურის მარგანეცი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მაღალხარისხოვანი მარგანეცის მადნით სამართლიანად ამაყობენ ჭიათურელები. აქ ბევრი, ძალიან ბევრი სახელოვანი ადამიანი გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ერთი მათგანია სოციალისტური შრომის გმირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის დელეგატი ტრიფონ ვარდენის-ძე ფოფხაძე.

შესახედავად ტრიფონი გოლიათი როდია. ტანად საშუალოა, სამაგიეროდ კარგად მოყვანილი ვაჟკაცია. სახეს ფართო შუბლი უმშვენებს. გადაშლილი ბეჭები აქვს — ისეთი, როგორიც მაღაროელს შეჰფერის. თითქმის ორმოცი წელიწადია განუწყვეტლად მუშაობს ტრიფონი მადნის მოპოვებაზე. მის მიერ ამოღებული მარგანეცი ერთად რომ დავაგროვოთ, — შენიშნავენ ხუმრობით ამხანაგები. — ერთი ვეებერთელა მთა წამოიჭიმება.

ვინ არის ტრიფონ ფოფხაძე? წარმოშობით სოფელ ჩომახეთელი გლეხის შვილია. 1905 წელს დაიბადა. თოთხმეტი წლისა უკვე მადნის ამოღებაზე მუშაობდა ბელტის სარჩევი ჩეკიათი. 1929 წელს მოწიფული ვაჟკაცი პირველად შევიდა ღრმად მაღაროში. წერაქვი და ნიჩაბი მოიმარჯვა ხელში. მას თავიდანვე სიმკვირცხლე და მოსაზრებულობა ახასიათებდა. ამიტომაც ამწმენდის ადგილი შესთავაზეს მაღაროში.

ამწმენდის პროფესია ყოველთვის დიდ დაოსტატებას და ღონეს მოითხოვდა. ამ საქმეს ყველას როდი ანდობდნენ.

ამ დროისათვის, 1929 წელს მაღაროებში ფეხს იკიდებდა მადნის

გამოტანის მექანიზაცია და ნაღმებით მადნის ნგრევა. მონგრეული მადნის დროზე, მარდად და მომჭირნედ აწმენდას, სამუშაო მოედნის განთავისუფლებას, ჭერის და კედლების გამაგრებას, ღიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ტ. ფოფხაძე მალე დაეუფლა საქმეს. ამწმენდის პროფესია მეტად მაღალ დონეზე აიყვანა. ლამაზ ხელოვნებად აქცია იგი მადნის მოპოვების რთულ პირობებში.

მალე მას ჭიათურაში მოწაფეები და მიმბაძველები აღმოეჩნდნენ. ხანდახან ახალგაზრდა ამწმენდები ესტუმრებოდნენ ხოლმე, ტრიფონი მათ შეუძღვებოდა მაღაროში, აჩვენებდა, როგორ აკეთებდა იქ თავის რთულ საქმეს.

ჩვენმა ქვეყანამ ტრიფონ ფოფხაძის შრომას მაღალი შეფასება მისცა. დღემდე მას ჯილდოდ მიღებული აქვს ლენინის ოთხი ორდენი. შრომის წითელი დროშის ორდენი. 1958 წელს მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

სახელოვანი მაღაროელი დიდი პატივისცემით სარგებლობს თავის მშობლიურ ქალაქ ჭიათურაში.

საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. ტრიფონ ფოფხაძე მიემგზავრება შინ, რომ კიდევ უფრო ენერგიულად განაგრძოს მუშაობა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროში — პერევისის მაღლობიდან რომ დასცქერის ჭიათურას — მსოფლიოში ცნობილ მარგანეცის ქალაქს.

ბორის ჩხეიძე.

ლესელიძელები

შავი ზღვის პირას, მდინარე ფსოუს მიდამოებში გაშლილა სოფელი — ლესელიძე. სოფელში ოთხასამდე კომლი ცხოვრობს. მათ ეამაყებათ რომ სოფელი ვაჟკაცის სახელს ატარებს და ლესელიძელები არიან... თუმცა მათ სხვაც ძალიან ბევრი რამ აქვთ საამაყო.

ამ სოფლისაკენ მიმავალ გზას რომ დაადგებით, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ ქართულად, რუსულად, ან ესტონურად გეტყვიან გამარჯობას. ისინი ყველანი ლესელიძელები არიან და მათი ყველაზე დიდი სიმდიდრეც ამ ერთიანობასა და მეგობრობაშია.

განთქმულია ლესელიძური ხილი, თამბაქო, სიმინდი, აქაური რძე, ყველი და კარაქი, თაფლი. მარტო ლესელიძური შავქლიავი რად ღირს. წელს ჰექტარზე ორას ცენტნერამდე რომ მოიყვანეს. თითო ძროხაზე ორი ათას შვიდასი ლიტრი რძე მიიღეს.

სოფელ ლესელიძის ძლიერ კოლმეურნეობას უკვე ათი წელია დავით ერქვანია ხელმძღვანელობს. მას „ძველთავმჯდომარეს“ ეძახიან. ტანადი, ბრგე ვაჟკაცია დავითი. მის ძარღვიან ხელებს შაშხანაც სჭერიათ კავკასიონის მისადგომებთან და სტალინგრადში, ტყვიაც მოხვედრია, მაგრამ არ დაცემულა და წასულა წინ. რომ არ აჩეხილიყო ვაზი შავი ზღვის პირას, რომ არ წაქცეულიყო ყვავილი ბალტიისპირეთში და კვლავაც „ქლიავისფერი ყოფილიყო საღამოები“ საქართველოში.

დავითს ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, თავისი ხუთი თითივით იცის სოფლის ასავალ-დასავალი. უბის წიგნაკს არ მოიშველიებს, არც ციფრი დაავიწყდება და არც სხვა რამ. ყველაფერს თავის რიგზე ჰყვება...

...ორასი ჰექტარი ხეხილის ბაღი, სამოცდაათი ჰექტარი თამბაქო, ათეული ჰექტარი ვენახი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. თვითეულ შრომადღეზე 18 მანეთი, 0,5 კილოგრამი რძე, ერთი კილოგრამი კარტოფილი, მნიშვნელოვანი რაოდენობით თაფლი, ბოსტნეული. წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა 4 მილიონ 500 ათასი მანეთი შეადგინა.



მაგრამ მარტო იმიტომ კი არ არის მდიდარი სოფელი ლესელიძე, რომ მისი საერთო ბეღლები და მარნები სავსეა. არა! ლესელიძე იმიტომ არის მდიდარი და შეძლებული, რომ დოვლათით და ბარაქით არის სავსე თვითეული იქაური გლეხკაცის ოჯახი. ყველას თავისი მარანი აქვს და თავისი ბეღელი, თავისი ბედნიერება და სიხარული, საერთო ბედნიერებასთან და სიხარულთან შერწყმული.

ლესელიძელებმა შრომაც იციან და დასვენებაც. ტყუილად როდი წამოჭიმეს სოფლის გულში მშვენიერი კლუბი. ქართველებს თავიანთი მომღერალთა გუნდი ჰყავთ, რუსებს და ესტონელებს თავიანთნი. ერთ რამედ ღირს მათი მოსმენა. სამივე გუნდი რომ გაერთიანდება და დააგუგუნებენ სიმღერას ამ ცასავით მაღალ და ბდღვრიალა ცხოვრებაზე, მოშრიალე პალმაზე, რომელსაც არ ეშინია ქარიშხლებისა და მზეს შესცინის...

დღეს რა ვართ, — ამბობს დავით ერქვანია, — 1965 წელს უნდა ჩამოხვიდეთ ჩვენს სოფელში და ნახოთ. სიტყვის ხალხი ვართ თუ არა! ზედმეტი სიმდიდრე ვის გადაუყრია...

მარტო სიტყვის კი არა, საქმის ხალხიც ხართ, ლესელიძელებო, და ამიტომ არის თქვენი მიწაც ესოდენ გულუხვი, თქვენი გული ესოდენ მხიარული, თქვენი ლუკმა ესოდენ ტკბილი და თქვენი სახელი ესოდენ განთქმული...

ერთი პატარა წერილი რა არის, კარგა მოზრდილი წიგნიც ვერ დაიტევდა სოფელ ლესელიძის სისხლსავსე ისტორიას, რომელიც მთელი ჩვენი ცხოვრების ერთი პატარა ლამაზი ფურცელია და რომელშიც როგორც ერთ წვეთში ზღვა, ასახულია ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა სოფელი თავისი ბედნიერი აწმყოთი და კიდევ უფრო ნათელი მომავლით...

ბარაქა თქვენს მარჯვენას, ლესელიძელებო!

შ. ჭოჭუა,
გ. გოგიაშვილი.

ლაშელი გმირი

მართალია, წლებს თავისი გაავლო, მაგრამ ვლადიმერ დევდარიანს მოხუცებულს ვერ შეარქმევთ. ხიცოცხლით სავსე ვაჟკაცია. მთელი მისი მრავალფეროვანი ცხოვრება ვაზთან არის დაკავშირებული.

ვაზი ერთობ სათუთი კულტურაა, ჩვენი ბავშვივით მოვლა უყვარსო. — ხშირად იტყვის იგი. მართლაც ასეა. მთელ თავის გამოცდილებას, ენერგიას აბპარეს ქართული ვაზის აყვავებასა და მისი სახელის განმტკიცებას.

დაუფიწყარია ვლადიმერის ცხოვრებაში 1948 წელი. მაშინ მან პირველად ჰექტარზე საუკეთესო ციცქასა და პინოს ჯიშიც ოთხმოცი ცენტნერი ყურძენი მიიღო, პარტიამ და ხელისუფლებამ დიდად დააფასეს მისი პატიოსანი, ალალი შრომა და ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშეს კოლმეურნეობის მოწინავე მევენახეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს.

მიღწეულით გული როდი დაიმშვიდა. მომდევნო წელს ყურძნის უხვი მოსავლისათვის ვლადიმერი ლენინის ორდენით დაჯილდოეს, შემდეგ წელსაც ლენინის ორდენი დაიმსახურა.

თანასოფელ ლებმა ვლადიმერს პირველი ლაშელი გმირი უწოდეს. ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატმა პარტიის მეოცე ისტორიული ყრილობის შემდეგ გაიორკეცა შრომა. მოწინავე კოლმეურნეს მუენახეობის ჩამორჩენილი ბრიგადა ჩაუბარეს. მალე გადაიდგა წინ პირველი ნაბიჯები. ბრიგადა წლით წლობით ზრდიდა მოსავლიანობას. შარშან მან ჰექტარზე 120 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

ენერგიით გამოუთქმელ სიხარულს განიცდიდა ბრიგადირი, როცა მევენახე ვლადიმერ გელაშვილზე ლაპარაკობს. კაცმა ნამდვილად მისგან უნდა ისწავლოს ვაზის სიყვარული. მართლაც საამაყო და სასახელოა: გამოცდილმა მევენახემ ვლადიმერ გელაშვილმა ჰექტარზე 280 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ასეთი კოლმეურნეები სოფელში ერთეულნი როდი არიან. მათ შორის არიან ანდრო და პავლე მაჭავარიანებიც.

ვლადიმერი სიტყვაძუნწია, არ უყვარს თავისთავზე, თავისი ოჯახის წევრებზე ბაასი. სალაპარაკო და საამაყო კი აქვს. მისმა უმცროსმა შვილმა, მეცხრე კლასის მოსწავლე გენერი დევდარიანმა წიგნთან ერთად განსაკუთრებით შეიყვარა ვაზი. ბეჭითმა მოსწავლემ შარშან ჰექტარზე 95 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ვლადიმერი კიდევ უფრო ალფრთოვანა ახალი შვიდწლედის წინსწლის დიდებულმა პროგრამამ.

— პარტიის XXI ყრილობის ალსანიშნავად, — ამბობს იგი. — ჩვენი ბრიგადის წევრებმა ვალდებულება ავიღეთ 12 ჰექტარ მსხმოიარე ვენახიდან შვიდწლედის პირველ წელს ჰექტარზე მივიღოთ 150 ცენტნერი ციცქას და პინოს ჯიშის ყურძენი!

ბრიგადის წევრები ზამთრის ამ დღეებშიც ვენახებში ტრიალებენ, შრომობენ.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატი ვ. დევდარიანი თანასოფლელებს საერთო-სახალხო საქმისადმი, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მისაბაძ მაგალითს აძლევს.

ლაშელ მევენახე გმირს სიტყვა არ გაუტეხია და არც გატეხს.

ა. გოცირიძე.

შვიდწლედის შუქით

ვლადიმერ მანაგაძეს მთელ ლაგოდეხის რაიონში იცნობენ... იგი მთის ძირას გაშენებული სოფლის — შრომის მკვიდრია. სარემონტო-ტექნიკური სადგურების შექმნამდე ვლადიმერი მტს-ში მუშაობდა და თავისი სატრაქტორო ბრიგადით კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“ ემსახურებოდა. მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ კოლმეურნეობამ მთელი სამანქანო პარკი შეისყიდა. ვლადიმერ მანაგაძე თავისი ბრიგადით მშობლიურ სოფელში გადავიდა. აქ ვლადიმერი კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და მთელი მონდომებით ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. ვლადიმერს მხარში ამოუდგნენ გოგი შიხაშვილი, გურამ გორგიაშვილი, ტარიელ ბეჟაშვილი...

სოფელ შრომაში წამყვანი კულტურა თამბაქოა. მისთვის განკუთვნილი ხნულის სიღრმე 27-30 სანტიმეტრი უნდა იყოს. მანაგაძის ბრიგადას, რომელიც ათ თხუთმეტძალიან ტრაქტორს აერთიანებს, გეგმით 7.000 ჰექტარი უნდა მოეხნა რბილ ხვნაზე გადაყვანით. ბრიგადამ დღე და ღამე გაასწორა და 7.000 ჰექტარის ნაცვლად 9.700 ჰექტარი მოხნა. თვითეულმა ტრაქტორისტმა 500-მდე ჰექტარი ეოხნა ეოხავალიც უხვი მოვიდა, თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერამდე თამბაქო აიღეს.

ხორბლის აღების დროსაც მუყაითად იმუშავა მანაგაძის ბრიგადამ. ცხრა დღეს იწვებოდნენ ისინი მზეზე, არ იცოდნენ, რა იყო დაღლა. ამ ხნის განმავლობაში მათ 800 ჰექტარი ფართობი გადასერეს თავიანთი მანქანებით და თვითეულ ჰექტარზე 18 ცენტნერი ხორბალი აიღეს. არც ხორბლის აღების შემდეგ შეუსვენიათ მანაგაძის ბიჭებს... მიწის მოცდენა ცოდვაა. ნაწვერალზე სახილოზე სიმინდი დათესეს. სიმინდმა დატაროებაც მოასწრო. ჰექტარზე 400 ცენტნერი მიიღეს.

ამ ბრიგადის შრომითი მიღწევების სულისჩამდგმელი ვლადიმერ მანაგაძეა. იგი პირადი მაგალითით ამხნევებს ბიჭებს. წელს ვლადიმერმა 1.327 შრომადღე გამოიმუშავა. კოლმეურნეობამ გადაწყვიტა შრომადღეზე 2 კილოგრამი ხორბალი გასცეს, ხოლო ფულად 15-20 მანეთი. დოვლათით ივსება შრომისმოყვარე ვაჟკაცის ოჯახი. ხარობს იგი, რომ შრომა უფასდება. ახარებს მას თავისი ორი ბიჭის — კარლოს და გელას წარმატებაც, ორივენი ხუთოსნები არიან.

ხშირად, როცა მტს-ების რეორგანიზაციაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ვლადიმერი იგონებს: პარტიის ნაბიჯი მტს-ების რეორგანიზაციის საკითხში ნამდვილად ცხოვრებით ნაკარნახევი იყო. მაშინ მტს-ს თავისი გეგმა ჰქონდა, კოლმეურნეობას თავისი. გეგმა ხან ერთს არ აძლევდა ხელს, ხან მეორეს. ხანამ მტს-ის დირექტორი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე „მორიგდებოდნენ“, საქმე ფუჭდებოდა. კოლმეურნეობას ზედმეტი ხარჯების გაწევა უხდებოდა. ახლა ტრაქტორები და კომბაინები ჩვენს ხელშია, როცა გვინდა, მაშინ „დავჯდებით“ და საცა გვინდა, იქ წავიყვანთო.

ვლადიმერ მანაგაძე რაიონულმა კონფერენციამ საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის დელეგატად აირჩია. ყრილობის დამთავრების შემდეგ ვლადიმერი დიდხანს ფიქრობდა შომავალზე. ამ ფიქრებში მშობლიური კოლმეურნეობის კიდევ უკეთესი მერმისი ეხახებოდა, ახალი შვიდწლედის შუქით განათებული.

ზ. სხვედიანი.

მიჰქრის ელმავალი...

ელმავალმა სამარშრუტო სიგნალი მისცა და მატარებელი ნელა დაიძრა სადგურიდან, შემდეგ სისწრაფეს მოუმატა და მალე მთებს იქეთ თვალს მიეფარა.

— ყურადღება მიაქციე სასიგნალო მოწყობილობას, თვალყური ადევნე შემადგენლობის მსვლელობას, — აძლევდა განკარგულებას თავის თანაშემწეს მძიმეწონოსანი მემანქანე ილია ლაბაძე.

მალე საველე სადგურიც გამოჩნდა, მატარებელი გაჩერდა.

ელმავლის ბრიგადამ სულ ორიოდე წუთში გასინჯა შემადგენლობის სამუხრუჭო მოწყობილობა, სადგურის მორიგემაც ნიშანი მისცა, და ქართულმა ელმავალმა ადგილიდან დასძრა მძიმეწონიანი შემადგენლობა...

ამ რეისით ილია ლაბაძემ კიდევ სამი ასეული ტონით გაზარდა თავისი ბრიგადის მიერ სურამის უღელტეხილზე — ჩვენი სამშობლოს რკინიგზების ერთ-ერთ ყველაზე რთულ უბანზე — გადატანილი სახალხო-სამეურნეო ტვირთების რაოდენობა.

...საელმავლო ბრიგადის შეცვლის წინ დეპოში თავი მოიყარეს ილია ლაბაძის ბრიგადის წევრებმა — მისმავე აღზრდილმა მოწინავე მემანქანეებმა თეიმურაზ ჯოჯიშვილმა, ლევან მანჯავიძემ და მათმა თანაშემწეებმა.

— ბიჭებო, პარტიის XXI ყრილობის ალსანიშნავად ჩვენ ოცი დღის განმავლობაში, მართალია, უღელტეხილზე 10 ათას ტონაზე მეტი ტვირთი გადავიტანეთ, მაგრამ მიღწეული მაინც არ არის საკმარისი, მეტის გაკეთება შეგვიძლია,— მიმართა ილიამ ბრიგადის წევრებს.

მეელმავლეებმა დამატებითი ვალდებულებანი იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის საელმავლო დეპოს ის სალოკომოტივო ბრიგადა გამოიწვიეს, რომელსაც საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატი გ. ბრეგვაძე ხელმძღვანელობს.

მძიმეწონის მატარებლების ტარების ოსტატის, პარტიის ხაშურის რაიკომის წევრის, საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატის ილია ლაბაძის ბრიგადის წევრებმა ენერგიული შრომით ხორცი შეასხეს თავიანთ ინიციატივას: წარმატებით გაანაღდეს პირობა. მარტო უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში უღელტეხილზე გაატარეს 61 მძიმე წონის მატარებელი და გადაიტანეს 17.845 ტონა ზეგეგმითი ტვირთი. ბრიგადის წევრებმა ამ ხნის განმავლობაში ლოკომოტივის ტექნიკური სიჩქარე საათში 2,5 კილომეტრით გაზარდეს, 1.800 მანეთი დაზოგეს და მნიშვნელოვნად გაადიდეს საშუალო-სადღეღამისო გარბენი.

ს. ძინძიბაძე,
ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა მწერლების V ყრილობისათვის

აფხაზეთის მწერლებთან

აფხაზეთის საბჭოთა მწერალთა I ყრილობაზე

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა აფხაზეთის მწერალთა პირველი ყრილობა. აქ მოვიდნენ მწერლები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები; ყრილობაზე ჩამოვიდა სტუმრები მოსკოვიდან, თბილისიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, ბათუმიდან.

მოხსენებით „აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მუშაობის, აფხაზური ლიტერატურის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ“ გამოვიდა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ი. თარბა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ყრილობის მონაწილეებმა ილაპარაკეს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ნორჩი აფხაზური ლიტერატურის დიდ წარმატებებზე, აგრეთვე იმ ამოცანებზე, რასაც საბჭოთა ლიტერატორებს უსახავს ცხოვრება, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესები.

აფხაზ ხალხს დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის განვითარების საქმეში. ამჟამად ათობით მწერალი ემსახურება ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად მზარდ მშობლიურ ლიტერატურას. მაგალითად, ფართოდ ცნობილია ისეთი მწერლების სახელები, როგორიც არიან აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია, ს. ჯანბა, ი. პაპასკირი. ჩვენი ქვეყნის მკითხველებში დიდი სიყვარული დაიმსახურეს პოეტებმა ბ. შინკუბამ, ი. თარბამ, ა. ჯონუამ, ჰ. ჯონუამ, შ. წვიჟბამ, ა. ლასურიამ, კ. ლომიამ და სხვებმა. აფხაზი მწერლების რიგებს ემატება სულ ახალი და ახალი ძალები — მომავალი ცვლა. ესენია ნ. თარბა, გ. გუბლია, კ. გერხელია, შ. ჭკადუა და სხვ.

აფხაზ მწერლებთან ხელიხელჩაკიდებული, ახალი ნაწარმოებებით ამდიდრებენ მშობლიურ ლიტერატურას ქართველი მწერლები ფ. დგებუაძე-ფულარია, კ. გოგიავა, შ. აკობია, ზ. ნაყოფია, დ. გიგბერია, მ. მირნელი, ა. ჯიქია, მ. ჩაჩუა და სხვ. ბევრმა მათგანმა უკანასკნელ ხანებში შექმნა ჩვენი დიადი სინამდვილის ამსახველი საინტერესო ნაწარმოებები. უკანასკნელ ხანებში გამოჩნდნენ ახალი ლიტერატურული ძალები — მ. დგებუაძე, ხ. გაგუა, ლ. სტვილია და სხვ.

სალიტერატურო კრიტიკაში ნაყოფიერად მუშაობენ შ. ინალ-იფა, ხ. ბღაჟბა, შ. ღლონტი, ო. ჭურღულია, ა. ჩხარტიშვილი და სხვ. აფხაზ და ქართველ მწერლებთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედების შრომას ეწევიან ლიტერატორები, რომლებიც წერენ რუსულ და სომხურ ენებზე.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლენა იყო თბილისში ჩატარებული აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

— ჩვენი მწერალთა ორგანიზაცია, — თქვა მომხსენებელმა ამხ. ი. თარბამ, — ყოველდღიურ მზრუნველობასა და დახმარებას გრძნობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური, კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობისაგან, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს აფხაზეთის ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების საქმეში.

სოხუმში გამოდის აფხაზურ ენაზე ჟურნალი „ალაშარა“, საბავშვო ჟურნალი „აცაბბი“, ქართულ ენაზე — ალმანახი „ლიტერატურული აფხაზეთი“, რუსულ ენაზე „ლიტერატურნაია აბხაზია“.

სიტყვით გამოსულმა ყრილობის მონაწილეებმა თვითკრიტიკულად ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც აქვს აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობას და ცალკეულ ლიტერატორს თავის შემოქმედებაში.

ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა კრიტიკოსებმა ხ. ბღაჟბამ და შ. ინალ-იფამ ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე, გააკრიტიკეს ცალკეული მწერლები, რომლებიც ქმნიან ისეთ ნაწარმოებებს, სადაც ნაკლებად არის ასახული მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ცხოვრება. ზოგიერთი მწერალი ვერ არის დაუფლებული თავისი ენის სიმდიდრეს, ნაკლებად წერს თანამედროვეობის თემაზე.

უფრო მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნის აუცილებლობაზე გაამახვილეს ყურადღება თავიანთ სიტყვებში პოეტებმა ა. ლასურიამ და ფ. ისკანდერმა.

ლიტერატურულმა კრიტიკამ ჯერ კიდევ აფხაზეთში ვერ ჰპოვა სათანადო განვითარება. შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოჩნდება გაზეთებსა და ჟურნალებში კრიტიკული სტატიები ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ.

მწერალმა ა. ჯიდარიანმა გააკრიტიკა აფხაზეთის მწერალთა კავშირი იმისათვის, რომ კავშირი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ლიტერატურულ წრეებსა და გაერთიანებებს, რომლებიც შექმნილია აფხაზეთის რაიონებში.

მოსკოვისა და რუსეთის ფედერაციის მწერალთა სახელით ყრილობას მიესალმა ს. სარტაკოვი. ყრილობის მონაწილეებს ჩრდილოეთ ოსეთის მწერალთა სახელით მხურვალედ მიესალმა მ. გაბულოვი, ყარაჩაი-ჩერქეზეთის მწერალთა სახელით კ. ჯგუთანოვი, აჭარის მწერალთა სახელით — ფ. ხალვაში.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ ჟურნალ „ალაშარას“ რედაქტორი ა. ჯონუა, მწერლები შ. წვიჟბა, ზ. ნაყოფია, მ. პაპასკირი, მ. ციკოლია, სოხუმის ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშა ა. კორტაკა.

ყრილობაზე სიტყვით გამოსული საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ი. აბაშიძე მიესალმა ყრილობას და მაღალი შეფასება მისცა აფხაზეთის მწერალთა შემოქმედებითის შრომას, აგრეთვე შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს აფხაზეთის მწერლებს, და უსურვა მათ შემდგომი წარმატებები.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ბღაჟბამ ყრილობის მონაწილეებს გააცნო პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მისალმების ტექსტი ყრილობისადმი, აგრეთვე წარმოთქვა ვრცელი სიტყვა.

გაიმართა აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობისა და ბიუროს არჩევნები. აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ი. თარბა, მდივნად ამხ. კ. ლომია.

აფხაზეთის მწერალთა ყრილობამ აირჩია საქართველოს მწერალთა V ყრილობისა და საბჭოთა კავშირის მწერალთა III ყრილობის დელეგატები.

დრამატურგიაში თანამედროვეობის ასახვისათვის

საბჭოთა დრამატურგიის, თეატრალური ხელოვნების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების შესახებ სკკპ XX ყრილობის დადგენილებათა განხორციელების, აგრეთვე დრამატურგიის დარგში კვალიფიციურ მწერალთა მოზიდვის, თეატრებში თანამედროვე თემატიკის ამსახველი ნაწარმოებებზე მუშაობის წახალისების, თეატრებისა და მწერლების შემოქმედებითი თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს თეატრალური საზოგადოება 1959 წლის იანვრიდან ჩაატარებენ კონკურსს თანამედროვეობის ამსახველ საუკეთესო ორიგინალურ პიესაზე.

კონკურსში ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძალების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად დაიდება ხელშეკრულება ახალ პიესებზე 15 მწერალთან. საკონკურსო პიესების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1959 წლის 15 დეკემბერი.

დაწესდება პრემიები ქართულ საბჭოთა თეატრში თანამედროვეობის ამსახველი პიესების დამდგმელებისა და მონაწილეებისათვის.

რეჟისორ-დამდგმელთათვის 2 პრემია 2.000-5.000 მანეთის რაოდენობით, მსახიობებისათვის — 3 პრემია 2.000-3.000 მანეთის რაოდენობით, მხატვრისათვის 1 პრემია—2.000-3.000 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნული პრემიები მსახიობებს, მხატვრებს, რეჟისორებს მიენიჭებათ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

საქართველოს მწერალთა კავშირი შემოქმედებით მივლინებებში გაგზავნის ახალ თანამედროვე პიესებზე მომუშავე დრამატურგებს.

გამომცემლობა „საბჭოთა ხელოვნება“ ყოველწლიურად გამოსცემს ახალ რჩეულ ორიგინალურ პიესათა კრებულს. რესპუბლიკის ყველა გამომცემლობა თავის ყოველწლიურ საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინებს საუკეთესო ორიგინალურ ქართულ თანამედროვე პიესებს.

მებრძოლი კრიტიკისათვის

საქართველოს მწერალთა აჭარის ორგანიზაციის კრებაზე

ბათუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის წევრთა კრებამ მოისმინა ვანყოფილების პასუხისმგებელი მდივნის უ. ხალვაშის საანგარიშო მოხსენება.

გასულ წელთან შედარებით, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს პროზის ჟანრში. წინანდებურად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პარმენ ლორია; გასულ წელს გამოვიდა მისი ახალი რომანი „შვილები“, ხოლო ამჟამად აჭარის სახელმწიფო გამომცემლობაში იბეჭდება მისი ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები „დაზგიდან დაზგამდე“.

კ. რუსიძემ უკანასკნელ სამ წელიწადში ზედიზედ გამოსცა სამი რომანი — „მოუსვენარი ადამიანები“, „ბეწვის ხიდზე“ და „ნაზიბროლა“, ახალი მოთხრობების კრებული გამოსცა ა. შერვაშიძემ.

მაგრამ აღნიშნული ნაწარმოებები დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან: პ. ლორიას „შვილებში“ ცალკეული ეპიზოდები ხელოვნურობის დაღს ატარებს; მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებულია კ. რუსიძის „ნაზიბროლა“, ხოლო ა. შერვაშიძე ნაკლებ ინტერესს იჩენს დღევანდელობის თემებისადმი.

უკანასკნელ წლებში პროზაში გამოჩნდა ახალი სახელები. მათ შორის აღსანიშნავია ილია რურუა, რომლის პირველი მოთხრობების კრებული „როცა ცხოვრებას შეიტკბობ“, მკითხველმა გულთბილად მიიღო. გამოვიდა მ. გორგილაძის „ჭადრების სიდიადე“, ალ. ჩხაიძის იუმორისტული მოთხრობების კრებული „უგვიანგვინო იუბილარი“, ჯ. ჯაყელის „განცდილი დღეები“ და სხვ. ყურადღებას იმსახურებს ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსების ს. ყენტისა და ა. სამსონიას მოთხრობები.

პოეტური ნაწარმოებიდან ბეჭდავს მომხსენებელი განიხილავს ნ. მალაზონიას, პ. რურუას, ნ. გვარიშვილის, გ. სალუქვაძის, შ. როყვას, ლ. გელაძის, ი. მელიას, შ. შუბლაძის და სხვ. ლექსებს.

შედარებით სუსტად ვითარდება მებრძოლი ლიტერატურული კრიტიკა. ჩვენი კრიტიკოსები ნაკლებად წერენ ადგილობრივ ავტორთა წიგნებზე ობიექტურ, პრინციპულ რეცენზიებს და კრიტიკულ შენიშვნებს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ მუშაობის საკითხს და აღნიშნა, რომ მასში ზოგჯერ იბეჭდება უფერული, მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ უფრო მჭიდრო კონტაქტი უნდა დაამყაროს საქართველოს სხვა ქალაქების მწერლებთან, მოწინავე ლიტერატორებთან, უნდა მიიზიდოს ისინი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა შ. ქურიძემ, კ. რუსიძემ, გ. სალუქვაძემ, ალ. ჩავლეიშვილმა, ჯ. ჯაყელმა, ი. მელიამ, შ. შუბლაძემ, დ. ჭანტურიშვილმა, ნ. ჯალაღანიამ.

მწერალთა აჭარის ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი პოეტი კარლო კალაძე. იგი შეეხო ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ მუშაობის საკითხს და აღნიშნა, რომ ჟურნალი უნდა გახდეს უფრო სიცოცხლისუნარიანი, მებრძოლი ხასიათისა, გაბედულად უნდა ამოუდგეს მხარში ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოწინავე ჟურნალებს.

კრებამ აირჩია განყოფილების ბიუროს ახალი შემადგენლობა.

საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობის დელეგატებად კრებამ აირჩია ს. ჩიქოვანი, პ. ლორია, ფრ. ხალვაში, ნ. მალაზონია, ნ. გვარიშვილი, გ. სალუქვაძე.

«რ ი ო ნ ი»

ქუთაისი. (საკ. კორ.). გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების ლიტერატურულ-მხატვრული კრებული „რიონი“.

კრებულში წარმოდგენილია რ. ბეროძის, მ. პატარიძის, გ. სამხარაძის, ა. სინაურის, ა. გურჯიძის, დ. ახობაძის, შ. ნიქარაძის, ზ. კუხიანიძის, შ. ტოგონიძის, ლ. ნუცუბიძის, მ. კაკიტელაშვილის, ვ. ჯაფარიძის, ვ. გუგეშვილის და სხვების ლექსები; დ. კვიცარიძის „ბახტალური ფიქრები“ (ნაწყვეტი რომანიდან), დ. ხუროძის, ს. ჭეიშვილის, ს. ფხაკაძის მოთხრობები, შ. ცანავას, შ. გაგნიძეს ნარკვევები, კ. მენსფილდის ნოველა „პატარა გოგონა“ (თარგმანი გ. დოლიძისა).

განყოფილებაში „შენაკადი“ დაბეჭდილია დამწყები მწერლების ლ. ბეშკენაძის, ნ. ჩინჩალაძის, თ. გაბილაიას, ჯ. თათეშვილის, კ. ეგოროვის ლექსები და მოთხრობები.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია ა. ვასაძის, დ. ბერეგაძის, ს. არეულაძის, ვ. ქუთათელაძის, მ. ალავიძის, კ. მეძველიას, გ. მეფისაშვილის, პ. ხმალაძის წერილები. კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე ქუთაისის კულტურული ცხოვრების ქრონიკა.

ლიტერატურულ-მხატვრული კრებულის რედაქტორია ს. ფხაკაძე.

„გ უ ლ ი დ ა ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი“

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის მცხოვრებლებმა ზაქარია და ბაბო პატატიშვილებმა მიიღეს შვილის—დავითის გმირულად დაღუპვის ცნობა და მისი ლექსების უბის წიგნაკი, რომლისთვისაც ავტორს „გული და ქარიშხალი“ უწოდებია.

სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებელში სწავლის დროს ახალგაზრდა დ. პატატიშვილი ამავე რაიონის გაზეთ „კოლმეურნეში“ ხშირად ბეჭდავდა ლექსებს. რაიონის მშრომელები ამ ლექსებს დიდი ინტერესით კითხულობდნენ.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1941 წელს არბოშიკელი ახალგაზრდა დ. პატატიშვილი სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში ჩადგა. იგი გმირულად იბრძოდა, თან ლექსებს წერდა. ოთხ წელს იომა ახალგაზრდა პოეტმა და გმირული სიკვდილით დაეცა. მისი ფრონტული ლექსები ჩვენი ქვეყნის გამარჯვების მტკიცე რწმენით არის გაჟღენთილი.

კარგი საქმე გაიკეთა წითელწყაროს რაიონული გაზეთის „ახალი შირაქის“ რედაქციამ, მკითხველს რომ გააცნო უდროოდ დაღუპული გმირი პოეტის ფრონტული ლექსები. გაზეთის ერთი გვერდი აქვს დათმობილი ამ ლექსებს.

დავით პატატიშვილის ფრონტზე დაწერილი ლექსები — „დროებით გტოვებთ, კვლავ დავბრუნდებით“, „ეს ომი შექმნის ეპოქას ახალს“, „სისხლიანი ბარათი“, „გეფიცებით დიდი ქვეყნის შვილობას“, „ვფიცავ“, „ღრუბლები“ და სხვ. — გამსჭვალულია მომავლის ღრმა რწმენით.

კარგი იქნება, თუ საქართველოს მწერალთა კავშირი დაინტერესდება ამ ნიჭიერი პოეტის შემოქმედებით.

თეთრო ეკვაილო*)

მაღალ ალპებში მზის დიდებული
სხივით ნაისრი
ჩუმად შრიალებ, ჩუმად ირხევი
ედელვაისი...
შენ... ალბათ, გახსოვს, რა სიხარულით
და აღტაცებით
შემოგყურებდნენ ჩვენი არმიის
ჯარისკაცები,
მიწის სიცოცხლეს, მის მყუდროებას,
ხმლით რომ იცავდნენ...
ეს ყვავილები მათ მოიტანეს
დედამიწაზე
და გამარჯვების და სიხარულის
ღიდი მაისი...
იმათ... საფლავებს შენ ხომ არ ამკობ,
ედელვაისი?
გულში ვინახავთ სამარადისოდ
მათ წმინდა სახელს.
მშვიდობის, ძმობის და მეგობრობის
მძლავრ ბაირაღებს
ვერვინ ჩამოხსნის, აწ და მარადის
ხელს ვერვინ ახლებს...
თეთრო ყვავილო, მზე და მშვიდობა
მსოფლიოს ხალხებს!

* * *

კვლავ შენგან მოდის ზღვა სიხარული,
რხევა ზეფირთა,
როგორც ცის სული, ცის ლაღი სული
ვარსკვლავებიდან...
მიახლოვდები კვლავ ყვავილების
თეთრი გზებითა...
კვლავ შენგან მოდის ზღვა სიხარული,
რხევა ზეფირთა.

ანა კალანდაძე.

*) (საჩუქრად მივიღე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან თეთრი ყვავილი ედელვაისი).

პლანეტებმაც იგრძნეს...

გაგიმარჯოს, დიდო დროო,
რომ გაალე სამყაროის,
ყველა სიგრცის,
ყველა დროის კარი!
დე მზემაც დაიტოვოს
პლანეტათა თაღებს შორის
აფრენილი
ჩვენი დროშის ალი.
გაბადრულო, ბადრო მთვარეგ,
გაიხარე, გაიხარე....
მალე ნახავ საბჭოეთის კაცებს,
მოიტანენ სითბოსა და დარებს
და მაგ შუბლზე
მდუმარებას ფარდასავით ავწევთ.
წყალობას ვინ გვაძლევს ციდან?!
ჩვენ, პირიქით, უნდა ვზიდოთ
ცაში ჩვენი ძლიერება,
სიბრძნე...
ასრულდება ის, რაც გინდა,
მშობლიურო ხალხო დიდო!—
შენი ძალა
პლანეტებმაც იგრძნეს.

ფრიდონ ხალვაში.

ახალი წიგნები

შ. დადიანის თხზულებათა პირველი ტომი



„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა და ხელისმომწერლებს ურიგდებათ გამოჩენილი ქართველი მწერლის შალვა დადიანის რჩეულ თხზულებათა ხუთტომეულის პირველი ტომი.

„პირველი სხივის“ 5-6 წიგნი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის არსებობის 10 წლისთავთან დაკავშირებით უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ამ წრის ორგანო ალმანახი „პირველი სხივი“ — საიუბილეო კრებული, წიგნი 5-6.

საიუბილეო ალმანახი იხსნება ერცელი შესავალი წერილით — „რედაქციისაგან“, რომელშიც ლაპარაკია უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის დაარსების ისტორიაზე, მის საქმიანობასა და ამოცანებზე.

საიუბილეო კრებულში მონაწილეობს სამოცდათერთმეტი ავტორი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება, რომ **საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობა** გაიხსნება 19 იანვარს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 17 და 18 იანვარს დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე მწერალთა კავშირის შენობაში (მაჩაბლის ქ. № 13).

ტელეფონები: 3-55-25, 3-54-90, 3-84-29, 3-93-49.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა

ცხოვრების მართალი გამოხატვისათვის ლიტერატურაში

ბესარიონ ჟღენტი

ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა გაცხოველებით ემზადება საქართველოს საბჭოთა მწერლების მეხუთე ყრილობისათვის, რომელიც უადრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ მთელი ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებაში. ეს ყრილობა იმ ისტორიულ დღეებში იკრიბება, როცა საბჭოთა ხალხი უდიდესი შემოქმედებითი აღფრთოვანებით იწყებს ბრძოლას კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ახალი ბრწყინვალე გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის, როცა მთელი ქაცობრიობა აღტაცებული და განცვიფრებული შესცქერის საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ სწორუპოვარ წარმატებას, რომელშიც მკაფიოდ გამოხატა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიდიადე, ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალა და უპირატესობა.

ახლანდელ მგზნებარე დღეებში ყოველი საბჭოთა მწერლის უპირველესი საფიქრელი და საზრუნავი ის არის, რომ კიდევ უფრო ღრმად დაუკავშიროს თავისი შემოქმედება ხალხის ცხოვრებას, ამაღლოს თავისი მხატვრული ოსტატობა და პროფესიული კულტურა, რათა ღირსეულად უპასუხებდეს ხალხის გაზრდილ ხელოვნურ მოთხოვნებს, კიდევ უფრო ნაყოფიერად ეწესახურებოდეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდ საქმეს. ამიტომაც ქართველ მწერალთა მომავალი ყრილობის მთელ შინაარსს, მის მთელ პათოსს განსაზღვრავს ბრძოლა ჩვენი ლიტერატურის მაღალიდეურობისა და ხალხურობისათვის, მისი მხატვრული სრულყოფილებისათვის. პარტია და ხალხი კანონიერად მოითხოვენ ჩვენი მწერლობისაგან, რომ იგი პირველი იყოს მსოფლიოში არა მარტო თავისი შინაარსის სიმდიდრითა და რეკოგნუცირობით, არამედ მხატვრული ოსტატობის ძალითა და ხარისხითაც. ხალხის ცხოვრებასთან განუყოფელი კავშირი, სინამდვილის მართალი გამოხატვა შეადგენს სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის საფუძველსა და ძირითად მოთხოვნას და, ცხადია სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს მწერალთა ყრილობა ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობასა და ამოცანებს, მისი შემოქმედებითი მეთოდის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

თვალსაჩინო შემოქმედებითი მიღწევებით ეგებება ქართული საბჭოთა მწერლობა თავის მეხუთე ყრილობას. ეს მიღწევები ღირსეულად იქნა აღნიშნული და შეფასებული გასული წლის დამდეგს მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე. ამ წარმატებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის დიდი შემოქმედებითი გამოცოცხლება, რომელსაც ადგილი აქვს მხატვრული პროზის დარგში უკანასკნელი წლების მანძილზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწორედ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში ქართველ პროზაიკოსთა შემოქმედებაში უპირატესი ხვედრითი წონა თანამედროვე თემატიკამ მოიპოვა. ამ წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, ს. კლდიაშვილის „მაუდრო სავნე“, თ. დონღუზოვის „ალაბანზე“, რ. ჯაფარიძის „ჭარისკაცის ქვრივი“, რ. ბეჟანიშვილის „ხამამულე რქა“, ა. ბელიაშვილის „რუსთაველი“ და კ. ლორთქიფანიძის „ნატვრის თვალის“ პირველი წიგნები, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტის“ მეორე წიგნი. ამ რომანების გვერდით მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს ისეთმა მოთხრობებმა, როგორიც არიან დ. შენგელაიას „განძი“, გ. ნატროშვილის „ისევ გაბაფხული იდგა იორზე“, რ. ჯაფარიძის „ხმა იდუმალი“, გ. ჩიქოვანის „ბერძენი“, ახალგაზრდა პროზაიკოსების რ. ინანიშვილის, ე. ყიფიანის, ი. რურუას ნოველები.

ქართველი პროზაიკოსების მიერ თანამედროვეობის თემებზე დაწერილ ახალ ნაწარმოებთა ეს არასრული ჩამოთვლაც ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად ნაყოფიერ და ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან უკანასკნელი წლების განმავლობაში მხატვრული პროზის ოსტატები, თუ როგორი თანმიმდევრობით ისწრაფვიან ისინი ახახონ ჩვენი სინამდვილის უმნიშვნელოვანესი პროცესები, შექმნან თანამედროვეობის გმირის, მოწინავე საბჭოთა ადამიანის სრულფასოვანი მხატვრული სახეები. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, **რომ საბჭოთა ხალხის თვალსაზრისით,** კიდევ მეტიც: მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც ქვეყნდება ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც უგულებელყოფილია ცხოვრებისეული სიმართლე, ყალბად, დამახინჯებულად არის ასახული საბჭოთა სინამდვილე. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ოთარ ჩხეიძის ახალი რომანი „მეჩიჩი“, რომელიც ზარშან ჟურნალ „მნათობის“ მე-4-8 ნომრებში დაიბეჭდა.

თავისი თემატიკის მხრივ ეს ნაწარმოები უაღრესად სადღეისო და აქტუალურია. ავტორს მიზნად დაუსახავს ამხილოს ის ნაკლოვანებანი და ჩრდილოვანი მხარეები, ის ყალბი და მანკიერი ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ ადგილი აქვთ საბჭოთა სინამდვილეში და რომლებიც წინ ეღობებიან და აფერხებენ ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილ წინსვლასა და აღმავლობას. ცხადია მწერლის ასეთ შემოქმედებითს განზრახვაზე არაფერია ცუდი და მიუღებელი. მაგრამ ავტორის სიბეჯითეზერო შეცდომაა ის, რომ ეს ნაკლოვანებანი და მანკიერებანი, ჩვენი სინამდვილის ეს ჩრდილოვანი მხარეები და ყალბი ადამიანების ბნელი საქმეები მას წარმოუსახავს იზოლირებულად, გამოცალკევებულად, გაზვიადებულად, იმგვარად, რომ ნაწარმოებში სრულიად არა ჩანს თვით საბჭოთა სინამდვილე თავისი დამახასიათებელი დადებითი თვისებებით, თავისი წინსვლისა და განვითარების ნათელი პერსპექტივებით, არ ჩანან ტიპიური საბჭოთა ადამიანები თავიანთი კეთილშობილური აზრებითა და მისწრაფებებით, შემოქმედებითი შრომითა და ნათელი ყოფაცხოვრებით.

რომანში მოთხრობილი ამბავი ვითარდება ქართველის სოფლების ხალდეს, ორბისის და რაიონული ქალაქის გ... ის (ალბათ გორის) თანამედროვე ცხოვრების ფონზე. მოქმედება წარმოებს ხან სოფლად, ხან ქალაქად, ხან კოლმეურნეობაში, ხან წარმოებაში, რაიონულ სამმართველოში, პარტიის რაიონულ კომიტეტში, სხვა საბჭოთა ადმინისტრაციულ და კულტურულ დაწესებულებებში. ნაწარმოების გმირები არიან საკოლმეურნეო სოფლის ადამიანები, წარმოების მუშები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, სხვადასხვა რანგის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები.

რომანის მრავალრიცხოვანი პერსონაჟების საპყარო შეიძლება ადამიანთა ორ კატეგორიად გავყოთ. ერთ მხარეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ავტორის სიმპატიითა და თანაგრძნობით სარგებლობენ. ესენი მწერლის თვალსაზრისით პატიოსანი ადამიანები არიან, რომლებიც დაბადებულან პატიოსანი შრომისა და **ადამიანური ცხოვრებისათვის,** მაგრამ ასეთი ადამიანები, უკლებლივ ყველანი, დაჩაგრულნი; გზაკვალბნეულნი, წესში გატეხილნი და გაუბედურებულნი არიან და არამც თუ მათს ახლანდელ ცხოვრებაში არაფერია ნათელი და სახიხარული, არამედ არცერთ მათგანს არ გააჩნია ხვალინდელი დღის რაიმე რწმენა და პერსპექტივა. მეორე მხარეს დგანან სხვადასხვა რანგის, მდგომარეობის „თანამდებობის პირნი“, რომლებიც გამოუკლებლივ ყველანი ან გაიძვერა ბოროტმოქმედნი არიან, ან კიდევ ბეცები და უნიათონი და თავისი ამგვარი მანკიერებით სიცოცხლეს უწამლავენ პატიოსან, მაგრამ უმწეო მშრომელ ადამიანებს.

რომანის მთავარი გმირი გიგო გუნდიაშვილი, სოფელ ხალდეს მცხოვრები, ოდესღაც განთქმული ხელოვანი მეჭურჭლეების ვვარის უკანასკნელი შთამომავალია. იგი, თავისი სახელოვანი წინაპრების მსგავსად, დიდად ნიჭიერი ოსტატია და მრავალი დადებითი თვისებით აღჭურვილი ადამიანი, მაგრამ თანამედროვე სოფელში მას არამც თუ ვერ უფროვნია თავისი ნიჭისა და ოსტატობის თავისუფალი, განვითარების საშუალება, არამედ იძულებული გამხდარა კიდევ საბლ-კარი მიატოვოს, მოსწყდეს მშობლიურ კარ-მიდამოს და სადმე ეძებოს სამუშაო და თავშესაფარი. მას ადგილობრივი ფინანგენტი ბუზალაძე დაადანაშაულებს, ქრთამი მოსთხოვა და რაკი გიგომ ამ უკანონო მოთხოვნაზე უარი უთხრა, ბუზალაძემ ცხოვრება გაუმწარა გუნდიაშვილს და ცილისწამებით, დაბეზღებებით, ყოველგვარი ვერაგობით და გაიძვერობით შეუძლებელი გახადა გიგოს ცხოვრება ხალდეში. ამას ისიც დაერთო, რომ გიგოს შეუუვარდა თავისი მეზობლის სულით ავადმყოფი ელესა ახალგაზრდა ლამაზი ცოლი ტასო. ეს უკანასკნელი უპატრონო, ობოლი გოგონა შეიფარა და აღზარდა ელესას მამის — კოტეს ოჯახმა. შემდეგ, როცა ტასო წამოიზარდა, იგი კოტემ ძალდატანებით ცოლად შერთო თავის სულიერად დაავადებულ ელესას. ავადმყოფი ქმრის ხელში ტასო ყოველმხრივ უბედური და დაჩაგრული იყო. ამიტომაც ადრე დაქვრივებულმა გიგომ ადვილად შეძლო ტასოს გადმობირება და, მიუხედავად ელესას უბედური მამის კოტეს გულითადი თხოვნისა, ქმარს მოსტაცა და ცოლად შეერთო ტასო. მაგრამ ამან ვერაფერით ვერ შეუმსუბუქა ცხოვრება გიგოსა და ტასოს. ერთხანს ისინი ხალდეს მახლობელ მოებს შეეხიზნენ. შემდეგ გიგომ რაიონულ ცენტრში ჟურნალის სახელოსნოში დაიწყო მუშაობა, მაგრამ ქალაქად ცოლის დაბინავება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა ტასო ისევ ხალდეს დაებრუნებინა, სადაც იგი გიგოს ძალათან ირინესთან ცხოვრობდა გამწარებული ცხოვრებით, რადგან მას ხშირად თავს დაატყდებოდა ხოლმე გიჟი ელესა და აწამებდა, ხორცს გლეჯდა, სულს ხდიდა. ტასო კი იძულებული იყო ყოველივე ეს აეტანა, რათა ერთმანეთი არ დაეხოცათ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

Ა. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲒᲐᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲐ ᲐᲥᲕᲡ—

ᲬᲔᲠᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲘᲛᲝᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲒᲔᲠᲢᲘᲡ

ᲓᲐᲚᲔᲡᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲙᲝᲢᲠᲔᲒᲣᲚ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲡᲙᲐᲠᲔᲖᲝᲒᲐ

Ა. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 იანვარი. (საკდესი). გუშინ საღამოს აქ ლოს-ანჯელოსიდან ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. ამხანაგ ა. ი. მიქოიანს ახლდნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ა. მენშიკოვი და სხვა პირები.

ნიუ-იორკის აეროპორტ აიდლუაილდში ა. ი. მიქოიანს შეხვდნენ ქალაქ ნიუ-იორკის მერის წარმომადგენელი რ. პატერსონი, ორგანიზაციის „ამერიკის ეროვნული თეატრი და დრამის აკადემია“ — ხელმძღვანელი რ. დაულინგი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ა. ა. სობოლევი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის თანამშრომელნი.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, (საკდესის კორ.). შეერთებულ შტატებში ა. ი. მიქოიანის ყოფნის გამო კომენტარებში პრესა აღნიშნავს მისი მოგზაურობის დიდ დადებითს გავლენას ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე. გაზეთები წერენ, რომ ა. ი. მიქოიანის შეხვედრები და საუბრები, როგორც რიგით ამერიკელებთან, ისე საქმიანი და ოფიციალური წრეების წარმომადგენლებთან ხელს უწყობს ურთიერთგაგების დამყარებას საბჭოთა და ამერიკელ ხალხებს შორის, ცივი ომის არანორმალური ატმოსფეროს ლიკვიდაციას. გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ა. ი. მიქოიანი განსაკუთრებული პირდაპირობით ლაპარაკობს არსებული საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზებზე, საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებზე. ეს პირდაპირობა და მოსაზრებათა დამაჯერებლობა ძლიერ შთაბეჭდილებას იხდენს საქმიანი წრეების ყველა წარმომადგენელზე.

აღნიშნავს რა ორ ქვეყანას შორის ურთიერთგაგებით დამყარებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების დიდ შესაძლებლობებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ი. მიქოიანის ყოფნასთან დაკავშირებით, მიმომხილველთა და კორესპონდენტთა ნაწილი კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამს ამერიკის ოფიციალური წრეების მიმართ იმის გამო, რომ ისინი საკმაოდ არ იყენებენ ამ შესაძლებლობას. ასეთ კრიტიკას შეიცავს, კერძოდ, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიერ გამოქვეყნებული სანფრანცისკოელი კორესპონდენტის ცნობა. კორესპონდენტი ამასთან აღნიშნავს, რომ ამერიკის ოფიციალური წრეების ასეთი საქციელი საკმაოდ მკაცრ კრიტიკას იწვევს კორესპონდენტების მხრივ, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ა. ი. მიქოიანის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდის“ მიმომხილველი რობერტსი ამერიკის მთავრობის პოლიტიკას საბჭოთა ოფიციალური წარმომადგენლების ამერიკაში ჩამოსვლის საკითხში „ორპოფულს“ უწოდებს. ერთი მხრივ, წერს იგი, მთავრობას სურს გაადიდოს ვიზიტების გაცვლა საბჭოთა კავშირის ლიდერებთან, მაგრამ, მეორე მხრივ, მას აქვს ერთგვარი შიში, რომ ამ ლიდერებს, განსაკუთრებით ნ. ს. ხრუშჩოვს, შეუძლიათ რაღაცნაირად შეარბილონ ამერიკის საზოგადოებრიობის პოზიცია ცივ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რობერტსი აღნიშნავს, რომ ა. ი. მიქოიანის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და „ნიშანსვეტია“ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში.

Ე. ᲙᲐᲕᲚᲝᲕᲘ.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝ, 14 იანვარი. (საკდესი). ისრაელის ჯარები არ წყვეტენ პროვოკაციულ მოქმედებას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის I-ლი არმიის სარდლობის წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ისრაელის სატორპედო კატერმა, რომელიც ტიბერიადის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროს მიუახლოვდა, პროვოკაციულად აუტეხა სროლა სოფელ ნაქიბის მცხოვრებთ, რომლებიც მინდორში მუშაობდნენ. სროლამ რამდენიმე წუთს გასტანა, რის შემდეგ კატერი ისრაელის ტერიტორიისაკენ წავიდა.

იმავე დღეს ისრაელის შეიარაღებული ჯარისკაცები გადავიდნენ არაბული სოფლის შამალინის ტერიტორიაზე და შეეცადნენ გაერეკათ პირუტყვის ჯგუფი. მაგრამ გლეხებმა სირიის სასაზღვრო მცველების დახმარებით საზღვრის დარღვევნი დაიკავეს.

სირიის მხარემ სირია-ისრაელის დაზავების შერეულ კომისიას აცნობა საზღვრის ეს დარღვევა და საერთაშორისო მეთვალყურეთა დასწრებით გადასცა მას დაკავებული ისრაელი ჯარისკაცები.

ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲚᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲓᲒᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 13 იანვარი. (საკდესი). სიტყვა წარმოთქვა რა დღეს დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის ქრისტიან დემოკრატთა კავშირის — ქრისტიან სოციალისტთა კავშირის ფრაქციის სხდომაზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ადენაუერმა გააკეთა განცხადება, რომელშიც კვლავ გამოვიდა საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების შესახებ. ადენაუერმა, როგორც დას საგენტო იუწყება, მოითხოვა გამოიჩინონ „ნერვებისა და მოთმინების ძალა“. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოსვლა მოთხოვნით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენოს კონტრწინადადებანი საბჭოთა საშვიდეთა ინიციატივის პასუხად, მან დახასიათა როგორც „ფრიად მცდარი და ცუდი“. მთავარი ამოცანა, რომელიც ახლა დასახულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, ადენაუერის სიტყვით, არის დასავლეთ გერმანიის შემდგომი ნაბიჯების შეთანხმება დასავლეთის სახელმწიფოებთან.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲛᲔᲠᲝᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 14 იანვარი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გრძელდება გერმანელი პატრიოტებისა და საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების მომხრეთა სასამართლო დევნა. გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ ცნობით, ამ დღეებში დორტმუნდში დამთავრდა სასამართლო პროცესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საზოგადოება გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ყოფილი წევრების კარლ ებერტის (მაინის ფრანკფურტიდან) და პაულ ჰაინემანის (ბოხუმიდან) საქმეზე. მათ პირობით მიუსაჯეს 9 და 8 თვის პატიმრობა და ფულადი ჯარიმა.

სასამართლომ ებერტისა და ჰაინემანის საქმიანობა 1951-1953 წლების პერიოდში დაახასიათა როგორც „საფრთხე სახელმწიფოს უშიშროებისათვის“.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲡᲐᲜᲢ-ᲘᲐᲒᲝ (ᲩᲘᲚᲘ), 14 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). კალათბურთში მსოფლიო პირველობის გათამაშების დაწყება გადატანილია 16 იანვრისათვის. ჩემპიონატში მონაწილეობენ სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ბრაზილია, ბულგარეთი, ურუგვაი, არგენტინა, ჩილი, კანადა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, მექსიკა, პერუ, ფილიპინები და ტაივანი. ეს უკანასკნელი მსოფლიო პირველობაში მონაწილეობას იღებს მოუხედავად სსრ კავშირის კალათბურთის სექციის ენერგიული პროტესტისა.

მიუხედავად, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის რეზიდენციაში, მოხდა ახალი წილისყრა. გუნდები განაწილებული არიან სამ ჯგუფად. ჯგუფი „ა“ თამაშობს ქალაქ ანტოფაგასტაში ამერიკის შეერთებული შტატების, ტაივანის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, არგენტინის შემადგენლობით. ჯგუფი „ბ“ თამაშობს ქალაქ ტემუკოში ბრაზილიის, სსრ კავშირის, მექსიკისა და კანადის შემადგენლობით. ჯგუფი „გ“ ქალაქ კონსეპსიონში ფილიპინების, ურუგვაის, ბულგარეთის, პერუს (კოსტარიკის ნაცვლად) შემადგენლობით. ორ-ორი გუნდი თვითეული ჯგუფიდან გადის ფინალში. ჩილის — ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის — კალათბურთელები გამოვლენ პირდაპირ ფინალში.

დამტკიცებულია „ბ“ ჯგუფის შეხვედრების შემდეგი კალენდარი:

16 იანვარს: სსრ კავშირი — მექსიკა, ბრაზილია — კანადა.

17 იანვარს: ბრაზილია — სსრ კავშირი, კანადა — მექსიკა.

18 იანვარს: სსრ კავშირი — კანადა, ბრაზილია — მექსიკა.

20 იანვარს დაიწყება ფინალური შეხვედრები სანტ-იაგოში.

11 იანვარს სსრ კავშირის გუნდი ჩამოვიდა სანტ-იაგოში, ხოლო მეორე დღეს დილით გაფრინდა სამხრეთ ჩილში ქალაქ ტემუკოში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲙᲕᲘᲠᲐ

საკავშირო პირველობა ჭადრაკში. სურათზე: (მარცხნიდან) გროსმაისტერი მ. ტალის (რიგა) და კუიბიშეველი ოსტატის ლ. პოლუგაევსკის შეხვედრა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

* * *

გადადებული პარტიების გუშინდელი გათამაშებით დამთავრდა ჭადრაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი სატურნირო კვირა.

როგორია შთაბეჭდილებანი სტარტისაგან, როგორია ოთხი ტურის სპორტული და შემოქმედებითი, რა თქმა უნდა, წინასწარი შედეგები?

უწინარეს ყოვლისა არაჩვეულებრივად მწვავე ბრძოლა. მართლაც, ვინ იფიქრებდა, რომ პირველ ტურებში დამარცხდებოდნენ მ. ტალი, დ. ბრონშტეინი, ე. გელერი, ვ. კორჩნოი, ი. ავერბახი, ბ. კერესი? მ. ტიმანოვი და ბ. სპასკიც, რომლებსაც დამარცხება არა აქვთ, მცირედ როდი უნდა უმადლოდნენ ამას „სულგრძელ“ რ. ნეიმეტდინოვსა და ე. გუფელდს, რომლებმაც ვერ გამოიყენეს გამარჯვების რეალური შესაძლებლობანი.

ბუნებრივია, რომ ასეთ მწვავე ბრძოლაში, მინიმალური დისტანცია, რომელიც მონაწილეებს ერთმანეთისგან ჰყოფს, დიდ როლს არ ასრულებს — წინ ხომ კიდევ თხუთმეტი ტურია. მაინც როგორია ცალეეულ მონაწილეთა სპორტული და შემოქმედებითი წარმატებანი?

დავიწყოთ ბორის სპასკით. მის მიერ შეგროვებულმა სამმა ქულამ იგი ტურნირის ლიდერი გახადა. მაინც მან, ჩემი აზრით, ჯერჯერობით თამაშში სრული ძალა ვერ გვიჩვენა.

გროსმაისტერი მ. ტალი აღსავსეა ენერგიით და მისწრაფებით არ დათმოს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სპატიო წოდება. ი. იუხტმანთან წაგებამ ვერ გატეხა მისი საბრძოლო სულისკვეთება, არამედ თითქოს წააქეზა იგი — ყოველ შემთხვევაში გამარჯვებანი ლ. პოლუგაევსკსა და ე. გელერზე საკმაოდ დამაჯერებელია, ხოლო პირველი მათგანი მიღწეულია სანიმუშოდ განხორციელებული იერიშით.

გროსმაისტერები დ. ბრონშტეინი და ე. გელერი ვერ არიან ჩვეულ სპორტულ ფორმაში. მართალია დ. ბრონშტეინის დებიუტის სიახლენი პარტიებში ბ. სპასკისთან და ვ. კორჩნოისთან უეჭველ ინტერესს წარმოადგენენ, მაგრამ ნიჭიერი გროსმაისტერის თამაში ჯერჯერობით შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. ე. გელერი კი პირდაპირ ვეღარ გვიცვნია კერძოდ პირველ სამ პარტიაში.

მშვიდად და დაჯერებულად თამაშობს ტ. პეტროსიანი. განსაკუთრებული სისადავითა და მეთოდურობით გამოიყენა მან ი. იუხტმანის არასიზუსტე დებიუტში. უსიამოვნება კი რაც მას მოუხდა განეცადა ლ. პოლუგაევსკისთან გათამაშებულ პარტიაში, მხოლოდ დებიუტის ვარიანტის წარუმატებლად არჩევით აიხსნება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე ვარიანტმა გამოიწვია ოსტატ ბ. გურგენიძის დამარცხება. ამ პარტიამდე კი ახალგაზრდა ოსტატმა პირველ სამ პარტიაში მოხერხებულად მიაღწია ყიამს.

მ. ტაიმანოვმა ბედნიერად დააღწია თავი ნულებს, ოღნავი დაფრთხობით გადარჩა შეხვედრებში რ. ნეიმეტდინოვთან და მ. ტალთან და ხელიდან არ გაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ ჩაეწერა თავისთვის ქულა ი. ავერბახთან შეხვედრაში.

პ. ცერესზე ჯერჯერობით აღრეა ლაპარაკი. შეიძლება მხოლოდ თანაგრძნობა გამოვუცხადოთ გროსმაისტერს, რომ არასიზუსტის გამო მან ლოგიკურ დაბოლოებამდე ვერ მიიყვანა პარტია ნ. კროგიუსთან.

ი. ავერბახისა და ვ. კორჩნოის შედეგები ბევრად არის დამოკიდებული ჭადრაკის საათზე. დროის განაწილების უნარის უქონლობა და ხშირი ციტნოტები, სამწუხაროდ, გავლენას ახდენს ამ ძლიერი გროსმაისტერების მდგომარეობაზეც სატურნირო ცხრილში.

მაგრამ კიდევ უფრო იჩაგრება ციტნოტის მიზეზით საერთაშორისო ოსტატი ს. ფურმანი. დამახასიათებელია მისი შეხვედრა ე. ვასიუკოვთან. საინტერესოა, რომ ე. ვასიუკოვს, რომელმაც საერთაშორისო ოსტატის წოდება საზღვარგარეთის ტურნირებში მოიპოვა, აქამდე არ მოუპოვებია ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება. მის დებიუტს პირველობაში ჯერჯერობით წარმატება მოჰყვა.

ტურნირში კიდევ ორი საერთაშორისო ოსტატი თამაშობს. ესენი არიან უხუცესი მონაწილე, რსფსრ ჩემპიონი რ. ნეიმეტდინოვი, აგრეთვე ლიტვის ჩემპიონი რ. ხოლმოვი. პირველის თამაშზე გავლენა მოახდინა პირველსავე ტურში წაგებამ. სხვანაირად ძნელია ავხსნათ, რატომ ვერ გამოიყენა მან თავისი აშკარა უპირატესობა ე. გელერის წინააღმდეგ.

რ. ხოლმოვი გამოცდილი ოსტატია, არაერთხელ გამოსულა წარმატებით ჩვენი ქვეყნის პირველობის ფინალებში. იგი ძალიან იშვიათად აგებს. ამიტომ ძნელი იყო გვეფიქრნა, რომ როცა მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწია მეოთხე ტურში, იგი არა მარტო დაკარგავდა ამ უპირატესობას, არამედ კიდევაც წააგებდა ე. გუფელდთან.

ლ. პოლუგაევსკი ერთადერთი ოსტატია, რომელსაც გროსმაისტერის ბალი აქვს. გამარჯვების ხელიდან გაშვება განსაკუთრებით საგრძნობია მისთვის.

ე. გუფელდსა და ა. ნიკიტინზე, რომლებიც პირველად მონაწილეობენ ფინალში, პირველი ტურების მიხედვით მსჯელობა ნაადრევია. ი. იუხტმანმა კი უკვე მოიპოვა პოპულარობა სენსაციური გამარჯვებით მ. ტალზე.

მე მხოლოდ მოკლედ შევეხე ტურნირის მონაწილეთა სპორტულ და შემოქმედებითს მიღწევებს პირველ ოთხ ტურში.

ცხადია, რომ ყველა მონაწილე მაქსიმალური დაძაბულობით, მეტ წილ პარტიებში უკომპრომისოდ თამაშობს და ამის შედეგად ძალიან შინაარსიან პარტიებს იძლევა.

ტურნირმა საქართველოს დედაქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია. რუსთაველის სახელობის თეატრის სავსე დარბაზი, ათასი მაყურებელი, ხუთი საათის განმავლობაში რომ აღევნებს თვალყურს ბრძოლის მიმდინარეობას — ამას არ შეიძლება არ გრძნობდნენ ოსტატები, რომლებიც სცენაზე სხედან. ხოლო თუ ამას დაეუმატებთ, გულითად სტუმართმოყვარეობას, თბილისელთა მეგობრულ ყურადღებას საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ოსტატებისადმი, გასაკვირველი არ არის, რომ ჩემპიონატის მონაწილენი თამაშობენ დიდი აღფრთოვანებით, სპორტული აზარტით, ცდილობენ შექმნან საჭადრაკო შემოქმედების მაღალმხატვრული ნიმუშები.

გროსმაისტერი Ა. ᲗᲝᲚᲣᲨᲘ.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲢᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

(დასასრული)

იყო. თავისი თავდადებული და პატიოსანი შრომით მან დიდი ამაგი დასდო კოლმეურნეობას. მაგრამ რა გამოვიდა აქედან? მას ცოლი გამოადგა ფუქსავატი და უსინდისო ქალი. ამ ქალმა სიცოცხლე გაუმწარა ლადოს, ბოლოს ცოლი დასწამა ქმარს, თითქოს იგი გახრწნილი და ზნედაცემული კაცი ყოფილიყოს, რაიკომის მდივანთან დააბეზღა. რაიკომის მდივანმაც საქმის გაურკვევლად, გამოუძიებლად, განუკითხავად სამუშაოდან მოხსნა პატიოსანი მუშაკი და ლადო სავანელს ვერავითარი საშუალებით ვერ მოუხერხებია დაიცვას თავი ამ უსამართლო შეურაცხყოფისა და სასჯელისაგან. მას მხოლოდ შეუძლია, რომ ბრაზმორეულმა კედელს ახალოს თავი და ასეთი გოდებით გამოთქვას თავისი სამდურავი: „ახლა ადამიანი დაეცა ჩემს თვალში, არა ესა და ისა, არა პეტრე ღა ბავლე, არა, თვით ადამიანი... ადამიანი! ადამიანისადმი რწმენა ჩამიკვდა თუ ჩამიკლეს, სულ ერთია, სული ამომერთვა თუ ამომართვეს, რა ბედენაა, გული გამიცივდა თუ გამიცივეს, რაღა საკითხავია, ხოლო ამის შემდეგ რაღა ვარ მე ანუ რა ვიქნები, ეს კი საკითხავია. ან კითხვა რად მინდა, ან პასუხი. ვიცი, რაც ვიქნები, ანუ რაცა ვარ — არარაობა. და რაღა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლესა? როგორ ვიცოცხლო ადამიანის სიყვარულის გარეშე, რითი ვიცოცხლო, აზრებითა? ჰმ... არ მეგულება ისეთი აზრი, რომლისთვისაც თუნდაც ერთი ადამიანის განწირვა ღირდეს“.

ასევე არარაობად ქცეული, სულიერად დაცლილი და გამოფიტული ადამიანია ირაკლი შუბითიძეც. იგი ერთ დროს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი იყო. უსამართლოდ და დაუმსახურებლად მოუხსნიათ თანამდებობიდან და თიხის ბურჯლის სახელოსნოს გამგედ დაუნიშნავთ. ახლა იგი ასე ეჩივის თავის შედეგს: „მე ხომ თავი არ მეზოგებოდა სიკეთისათვის და არც სხვა მეზოგებოდა, მაგრამ ვინ არის ამით მადლობელი? არავინა, არავინა... მე არ ვიცოდი, რომ მოდვაწეს დიდი ფიქრი უნდოდა, დავმარცხდი და ახლაღა გავიგე, ახლადა ვფიქრობ. გვიანდა არის, გვიანდა არის...“ მაგრამ შუბითიძე არაფერს ინანებს: „ვითომ რა უნდა მოვინანიო? ის მოინანიებს, ვინც მიხვდება, სხვანაირად შემეძლო, უკეთესად შემეძლოო... ახლა კი ასე მგონია, ჩემზე უკეთესიც ისეთივე იქნებოდა, როგორიც მე. ჩემზე უკეთესიც ისეთივე იქნებოდა“.

ასე სულიერად დაძაბუნებული და გამოფიტული, სიცოცხლეგამწარებული და გაუბედურებული ადამიანები არიან „მეჩიჩის“ ის გმირები, რომლებიც ავტორის სიმპატიითა და თანაგრძნობით არიან გარემოსილნი. რომანის სხვა პერსონაჟები „თანამდებობის პირები“ არიან. ისინი ყველანი მანკიერი ადამიანები არიან, ან გაიძვერა და ვერაგი, ან უბადრუკი და უნიათო ავტორს არ უნდა დაინახოს რაიმე არსებითი განსხვავება „თანამდებობის პირთა“ შორის. მექრთამე და გაიძვერაა ფინაგენტი ბუზალაძე, რომელმაც სიცოცხლე გაუშწარა გიგო გუნდიაშვილს, მორალურად გახრწნილი ადამიანია რაიალმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე, რომელმაც მასთან საქმეზე. მისულ ირინეს უხეშად და აღვირახსნილად შესთავაზა უხამსი ურთიერთობა, სახალხო მოსამართლე, რომელსაც მინდობილი აქვს მრავალი პატიოსანი ადამიანის ბედი, ფიქრს გაურბის, მას „განათლება და გონიერება არა ყოფნის“. აი როგორია ეს მოსამართლე: „ამან ჩაფიქრა მოსამართლე, ოღონდ დიდხანს მაინც არ გაყოლია ეს ფიქრი, არა იმიტომ, რომ მახვილი გონება ჰქონდა და სწორაფად გადაწყვეტა, არა, ფიქრი არ უნდოდა ან არა სჩვეოდა, ჰოდა წამოიმართა. გაიჭიმა სწორედ ისე, მოლაპარაკეების დამთავრებას რომ ანიშნებენ ხოლმე, როგორც ყველა თანამდებობის პირსა სჩვევია დაწყებული სოფსაბჭოს მდივნიდან, გათავებული ოლიმპის მწვერვალითა“. ასე განურჩევლად ათანაბრებს ერთმანეთთან მწერალი ყველა თანამდებობის პირს, რათა ერთნაირად გაკილოს და გააბიაბრუოს ყველა ისინი: პარტიის რაიკომის მდივანიც, რომელმაც ლადო სავანელის მეუღლის ცილისმწამებლური დაბეზღების საფუძველზე განუკითხავად და საქმის შეუსწავლელად სამუშაოდან მოხსნა კოლმეურნეობის პატიოსანი თავმჯდომარე, რაიალმასკომის იურისკონსულტიც, რომელსაც უაზრო და უთავბოლო სიტყვებს წარმოთქმევინებს სასამართლოს სხდომაზე და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორიც — მოხუცი პროფესორი, რომელიც ყველაფერს იწუნებს, ყველაფერზე ბუზღუნებს და თანაც შეშინებული აქეთ-იქით იცქირება — ხომ არავინ მისმენს. კედლებსაც ეუფრი ხომ არა აქვთო. რაიონული თეატრის სპექტაკლების დასათვალიერებლად თბილისიდან ჩამოსული კომისიაც ფუქსავატი მოლაყბეებისაგან შედგება, რომლებიც სპექტაკლის სერიოზული განხილვის ნაცვლად უაზრო ფრაზების კორიანტელს აყენებენ. ასეთია „მეჩიჩის“ პერსონაჟთა მთელი სამყარო. რომანში არ მოქმედებს არც ერთი ნათელი ადამიანური ხასიათი, არც ერთი ტიპიური ჯანსაღი საბჭოთა ადამიანი. „მეჩიჩის“ ყველა გმირი ან გაიძვერა და უმეცარია, ან ცხოვრების მიერ გათელილი, წელში გატეხილი და სულიერად დაძაბუნებული ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს ყოველგვარი რწმენა და პერსპექტივა.

როგორიღაა ის გარემოცვა, რომელშიც ეს ადამიანები ცხოვრობენ და მოქმედებენ? აქაც ავტორი არ იმეტებს არც ერთ ნათელ შტრიხს, აქაც ყველაფერი სეპტიკურად და ნიჰილისტურად, ბნელი, მუქი საღებავებით არის დახატული. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რას წარმოადგენენ რაიონული პარტიული და საბჭოთა დაწესებულებანი. ჭურჭლის სახელოსნო, სადაც გიგო სამუშაოდ მოეწყო, მხოლოდ უშნო და უგემოვნო სტანდარტებს, დიდ ქილებს ამშადებს. აქ სლამაზეზე არავინ ფიქრობს, რადგან როგორც ამ სახელოსნოს ერთ-ერთი მუშა ამბობს: „სლამაზეს თვალიმც დასდგომია, კუჭი თუ ვჭლალას ამოგაძახსო“. ამ სახელოსნოს მუშები აუწერელი ბოლმით და დარდით უჩივიან თავიანთ გაჭირვებულ ცხოვრებას: „ვიმეყოფინოთო, საბანი როგორც გაგვწვდება, ისე დავიხურო-თო. მეტი რა ჯანია... მაგრამ სულ მოკაუტული წოლა ძალიან ძნელია, ფეხის გაშლა ერთ რამედ მიღირსო“. უკმაყოფილებისა და მწუხარების გამომხატველი ასეთი ფრაზებით აღსავსეა სახელოსნოს მუშების დიალოგი. კოლმეურნეობის ყანები და მინდვრები დაუმუშავებელი და მოუვლელია. გზაკეცილები ორმოებით და გაუვალი ტალახით სავსე. თვით ავტომობილიც კი, რომლითაც ირაკლი შუბითიძე და გიგო გუნდიაშვილი სოფლად მიემგზავრებიან, დანგრეული და დაჯღრეულია. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გაიძახის: „თუმცა მუზეუმი გვქვია, მუზეუმისას ვიჭიმებით, მაგრამ რაო, საცავები ჩვენ არ გვივარგა, გამოსაფენი დარბაზები ჩვენ არა გვაქვს“.

ასე ერთიანი უარყოფითი სახით არის წარმოდგენილი რომანში მთელი გარემოცვა, მისი გმირების ცხოვრებისა და მოქმედების მთელი სარბიელი. და როგორც არ მოიძებნება ამ ნაწარმოებში არც ერთი ჯანსაღი და ნათელი ადამიანური სახე, ისე არ მოიპოვება მასში არც ერთი სასიხარულო შტრიხი, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელი.

ასე ყალბად, დამახინჯებულად და გამაბიაბრუებლად არის გამოსახული „მეჩიჩში“ ჩვენი სინამდვილე, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება. ამაში მდგომარეობს ნაწარმოების როგორც იდეური მანკიერება, ისე მხატვრული უბადრუკობაც. სადაც ცხოვრების სურათი ყალბი და დამახინჯებულია, იქ არ შეიძლება იყოს ნამდვილი მხატვრობა, ჭეშმარიტი ხელოვნება. ოთარ ჩხეიძე არ არის ნიჭს მოკლებული მწერალი, იგი ამასთან განათლებული და შრომისმოყვარე ლიტერატორია. ამ ნაწარმოებშიც მას აქვს ზოგიერთი მოხდენილად წარმოსახული პასაჟი. მაგრამ ეს მხოლოდ ცალეეული შემთხვევებია. საერთოდ კი რომანი მოკლებულია კომპოზიციურ მთლიანობას, სიუჟეტის მწყობრ განვითარებას. რომანის პერსონაჟთა დიდი უმრავლესობა უსისხლხორცო სქემებს წარმოადგენს. წიგნში არ გვხვდება არც ერთი დასრულებული, მთლიანი ადამიანური ხასიათი, ცოცხალი და მეტყველი ადამიანური სახე.

განსაკუთრებით მიუღებელია ავტორის ახირებული, ყოვლად გაუმართლებელი ენობრივი პოზიცია. მას სურს ამეტყველოს თავისი გმირები და თვითონაც იმეტყველოს ვითომდაც ქართული დიალექტით, მაგრამ არა მარტო ასეთ ენობრივ ნაბურალიზმში მდგომარეობს „მეჩიჩის“ ავტორის დიდი შეცდომა და მარცხი. იგი ქმნის რაღაც კუროიზულ, კარიკატურულ ენობრივ ქსოვილს, ისეთი ხელოვნური და განზრახ დამახინჯებული მეტყველების ფორმებს, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასთან.

ავტორს აუჩემებია რაღაც მომაბეზრებელ სიტყვათა კორიანტელი, დაუსრულებელი ტავტოლოგია, სინონიმების უაზრო დახვავება, თითქოს ამ ბუნდოვან და აუტანელ სიტყვიერ ვაჭანალიაში მას უნდა გახვიოს თავისი ნაწარმოების უბადრუკი „ფილოსოფია“ ცხოვრების უკუღმართობისა და ადამიანის უმწეობის შესახებ. ეს „ფილოსოფია“ რომანში ხან მოქმედ პირთა თავგადასავლითა და ცალეული სიუჟეტური მოტივებით არის გამოხატული, ხან შიშველი, გასაოცრად უაზრო რიტორიკული ტირადებით.

როგორც იდეური, ისე მხატვრული თვალსაზრისით „მეჩიჩი“ ავტორის მწვავე მარცხი და ნაბდვილი შემოქმედებითი ჩავარდნაა. იგი შედეგია როგორც ცხოვრების უცოდინარობისა და იდეური დაბნეულობისა, ისე მწერლის ყოველად გაუმართლებელი გაჯიუტებისა თავის ყალბ და ყოველმხრივ მცდარ პოზიციაზე. ჩვენმა პრესამ და საზოგადოებრიობამ არაერთხელ უსაყვედურეს ოთარ ჩხეიძეს, რომ იგი თავის ნაწარმოებებში გვერდს უვლის საბჭოთა სინამდვილის დადებით მოვლენებს და ცალმხრივად გამოხატავს ცხოვრების მხოლოდ ჩრდილოვან მხარეებს, რომლებიც მის ნაწარმოებებში გაზვიადებულად წარმოსახებიან. იმის ნაცვლად, რომ ავტორს სათანადო დასკვნები გაეკეთებინა ასეთი კრიტიკისაგან, იგი თავის ყოველ ახალ ნაწარმოებში სულ უფრო და უფრო შორს მიდის მის მიერ აკეთებულთა ამ საბედისწეროდ ყალბი გზით. ამ გზამ მიიყვანა ოთარ ჩხეიძე იმ უკიდურეს მარცხამდე, რომელსაც მისი „მეჩიჩი“ წარმოადგენს. ეგებ ამ მწარე გაკვეთილმა მაინც გამოაფიზლოს მწერალი და თავი დააღწევინოს მას საბჭოთა მწერლობის მიზნებსა და ამოცანებთან ყოველად შეუთავსებელი კონცეპციისაგან. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესია ოთარ ჩხეიძის შემდგომი ლიტერატურული ბედისათვის.

უურნალ „მნათობის“ რედაქციამ ამ